ყოველდღიური გაზეთი

ახალი თაობა

akhalitaoba.ge

პარასკევი, 12 ნოემბერი, 2021 | №214 (8743) | ფასი: 60 თეთრი

გვ.5

„პენიტენციურმა სამსახურმა სააკაშვილის პატივი და ღირსება შეურაცხყო“

ნინო ლომჯარიას განცხადება

ნიკა გვარამია: „სტრასბურგმა სააკაშვილის საქმე პრიორიტეტულად გამოაცხადა“

გვ.5

„ჩვენი მოთხოვნა დროებითი ღონისძიების მიღების შესახებ დაკმაყოფილდა“

„მტერიც კი არ უნდა დაამცირო ასე, არათუ ყოფილი პრეზიდენტი“

გვ.3





კახა კოჟორიძე: „არ გამოვრიცხავ, რომ ხელისუფლება დასავლური კურსიდან გადახვევის მიზანს ემსახურება“

„ქართულმა ოცნებამ“ დაამტკიცა, რომ სააკაშვილი პოლიტპატიმარია“

გვ.2

გიორგი ვაშაძე: „ცივი ომი გვაქვს ქვეყნის შიგნით. ხელის ჩამორთმევა სხვა პოლიტიკური პარტიის წევრზე, დანაშაულად ითვლება, გასვენებაში არ მიდის ხალხი პოლიტიკური მიზეზიდან გამომდინარე“

„ოპოზიცია „ოცნებასთან“ საინფორმაციო ომს აგებს“

გვ.3

ნიკა ჩიტაძე: „ხელისუფლება დაპანიკებულია და ერთი მხრივ ძალის დემონსტრირებას ცდილობენ, მეორე მხრივ – ხალხის გულის მოგებას“

გვ.2

ელენე ხოშტარია: „შიმშილობას არ შევწყვეტ“

გია ვოლსკი: „კადრები სასიამოვნო საყურებელი არ იყო“

გვ.2

ხათუნა ხოფერია: „სააკაშვილს გლდანში პატიმარმა რომ აგინა, რატომ გაუკვირდათ?!“

გვ.4

„გიგი უგულავა ზნედაცემული არაკაცია“

გვ.4

„ბუბა კიკაბიძე კიევშია ჩასული უკრაინის ხელისუფლებასთან მოსალაპარაკებლად“

სოსო შატბერაშვილი: „კრიზისის განმუხტვის ერთადერთი საშუალება სააკაშვილის უკრაინაში ექსტრადირებაა“

ISSN 1987-9385

2 „შიდა ქართლში მდგომარეობა სერიოზულად გართულდა“

5 პიჯაკების საქმეზე სასამართლო 15 ნოემბერს დაინიშნა

5 სააკაშვილი: „შიმშილობას შევწყვეტ, ოღონდ ერთი დათქმით“

6 ენტონი ბლინკენი: „ჩვენ ლუკაშენკოს რეჟიმზე ზეწოლას განვაგრძობთ“

„ქართულმა ოცნებამ“ დაამტკიცა, რომ სააკაშვილი პოლიტპატიმარია“

გიორგი ვაშაძე: „ცივი ომი გვაქვს ქვეყნის შიგნით. ხელის ჩამორთმევა სხვა პოლიტიკური პარტიის წევრზე, დანაშაულად ითვლება, გასვენებაში არ მიდის ხალხი პოლიტიკური მიზეზიდან გამომდინარე“

ნონა ცაბაძე

„ახალი თაობის“ კითხვებს გიორგი ვაშაძე პასუხობს.

– ბატონო გიორგი, როგორ აფასებთ არსებულ სიტუაციას? ასე რატომ გაჯიუტდა ხელისუფლება მიხეილ სააკაშვილთან დაკავშირებით, რატომ არ გადაჰყავთ ის სამოქალაქო კლინიკაში?

– პირდაპირ გეტყვით, რომ აბსოლუტურად მძიმე ვითარებაა და როგორც სჩვევია „ქართულ ოცნებას“, ამ მძიმე ვითარებას კიდევ უფრო ამძიმებს ხოლმე. სამწუხაროდ, ეს არის მათი ხელწერა. დღეს ქვეყანას სჭირდება გამოსავლის მოძიება და არა კიდევ უფრო ესკალაცია ვითარების. ხელისუფლება ესკალაციას ახდენს, რატომ, რისთვის? სულ ამ კითხვას ვსვამთ. ნორმალური ადამიანისთვის ეს გაუგებარია, მაგრამ რას ვიზამთ, საქმე გვაქვს „ქართულ ოცნებასთან“. შეიძლება ვთქვათ, რომ ქვეყანაში მძაფრი კრიზისის მესამე ფაზაა. სამი წელია სულ პერმანენტული პოლიტიკური კრიზისია ქვეყანაში. „ქართული ოცნება“ ვერ მართავს პროცესს ისე, რომ ადამიანურად, ნორმალურად იცხოვროს ხალხმა ამ ქვეყანაში. ყოველთვის ძალაუფლების წადილს აქვს ასეთი შედეგები.

– ნაციონალური მოძრაობა პირობას დებს, რომ არ მოეწყობა საპროტესტო აქციები იმ კლინიკასთან, სადაც სააკაშვილი იქნება გადაყვანილი, ამ პასუხისმგებლობას, როგორც ცნობილია, თქვენც იღებთ. რამდენად წავა ხელისუფლება ამ დათმობაზე? არის მართლაც ამ პირობის შემსრულებელი ნაციონალური მოძრაობა?

– მე ვფიქრობ, რომ ამ შემთხვევაში ამ პირობას შეასრულებს ნაციონალური მოძრაობა, იმიტომ, რომ მას ბევრი არჩევანი არა აქვს, პირდაპირ რომ ვთქვათ. თუ არ შეასრულებენ, მე ვიქნები ერთ-ერთი ადამიანი, ვინც არა მარტო გავაკრიტიკებ, მივალ და ვეტყვი, რომ გაჩერდნენ! თუმცა დარწმუნებული ვარ, შეასრულებენ ამ პირობას, რადგან სასწორზე დევს მიხეილ სააკაშვილის ჯანმრთელობა, მათთვის და ზოგადად ქვეყნისთვის ეს ძალიან მნიშვნელოვანია და არ მგონია მოტყუებას ჰქონდეს ადგილი.

– რჩება შთაბეჭდილება, რომ ეს მიზანმიმართული პროცესია. აბა რას ემსახურებოდა პროცესის წინ სააკაშვილის მე-18 დაწესებულებაში გადაყვანა?

– მე ვფიქრობ, რაღაცნაირად უნდათ, რომ ფსიქოლოგიური ზეგავლენა მოახდინონ მასზე, დაამცირონ. უფრო პოლიტიკურ ანგარიშსწორებასთან გვაქვს საქმე, ვიდრე რაიმე რაციონალურ გადაწყვეტილებასთან.

– ფიქრობთ, რომ ეს დაწესებულება ვერ უზრუნველყოფს სააკაშვილისთვის სათანადო სამედიცინო დახმარების აღმოჩენას?

– ორი პრობლემაა, არც ერთი ექიმი არ არის საქართველოში, რომელმაც თქვა, რომ ამ დაწესებულებაში არის შესაბამისი პირობები, რომ ჯანმრთელობა იყოს უზრუნველყოფილი, მეორე არის ის ფსიქოლოგიური წნეხი, რაც პატიმრების შეძახილებით თუ ასე შემდეგ, ასევე არსებობს. ორი კომპონენტია აქ პრობლემის. ამიტომ არის აუცილებელი მისი კლინიკაში გადაყვანა. ბოლოს და ბოლოს, გორის ჰოსპიტალში გადაიყვანონ, შეიძლება, რომ ეგ იყოს გამოსავალი, თუ რაღაცის ეშინიათ. ეს შიშიც აბსოლუტურად ეფემერულია და უბრალოდ მიზეზია.

– რისი ეშინიათ, რა შეიძლება მოხდეს? ან სასამართლო პროცესზე რატომ არ მიიყვანეს?

– არაფრისაც არ ეშინიათ, უბრალოდ მიზანმიმართულად ამწვავებენ პროცესს. პროცესს რაც შეეხება, უბრალოდ არ უნდათ, რომ მიხეილ სააკაშვილმა სიტყვით მიმართოს ხალხს.

– ბატონო გიორგი, ნაციონალურმა მოძრაობამ სტრასბურში წაიღო საჩივარი და ორი სხვადასხვა შეფასება მოვისმინეთ, ხელისუფლება ამბობს, რომ არ მიიღეს საქმე წარმოებაში, ხოლო ნაციონალური მოძრაობა აცხადებს, რომ დაჩქარებული წესით განიხილავენ. რას იტყვით თქვენ?

– მოდი სიმართლე ვთქვათ, სტრასბურმა მიიღო ეს სარჩელი და დაავალა ხელისუფლებას, რომ ყოველდღიურად მიაწოდოს ინფორმაცია ამ პროცესთან დაკავშირებით. ეს იმ განსაკუთრებულ საქმეებს შორის მოხვდა, რომელიც სტრასბურის ყურადღების ქვეშ იქნება, რაც ძალიან მნიშვნელოვანია. ჯერჯერობით არ მიუღია ინფორმაცია, რომ გადაიყვანონ სამოქალაქო კლინიკაში და ამისთვის ითხოვენ მეტ ინფორმაციას ამ საკითხთან დაკავშირებით.

– რას უცდის ხელისუფლება, უცებ რომ დამძიმდეს და სავალალო შედეგი დადგეს?

– ეს ძალიან მძიმე შავი ლაქა იქნება. მოგწონს, არ მოგწონს, უჭერ მხარს, არ უჭერ, ეს ერთია, მაგრამ იმედია, ასე არ მოხდება, ეს უდიდესი ლაქა იქნება ჩვენი ქვეყნის ისტორიაში. პირველ რიგში „ქართული ოცნებისთვის“ და შემდგომ მთლიანად საქართველოსთვის.

– უკრაინაში ექსტრადირების საკითხს რაც შეეხება, ეს დროში რამდენად გაწელილია და წავა თუ არა ამაზე ხელისუფლება?

– გულწრფელად რომ ვთქვათ, ჯერჯერობით მე ვერ ვხედავ ამ მიმართულებით გადადგმულ ნაბიჯებს. თეორიულად ყველაფერი შესაძლებელია, მაგრამ პრაქტიკაში ჯერჯერობით ვერ ვხედავ ნაბიჯებს, ან რაიმე სვლას იქით, რომ მისი ექსტრადაცია მოხდეს უკრაინაში.

– თითქოს არც უკრაინის მხარე გამოირჩევა აქტიურობით, მუშაობენ საერთოდ ამაზე?

– გულწრფელად რომ ვთქვათ, პარლამენტარები აქტიურობენ, სახალხო დამცველი აქტიურობს, მაგრამ ოფიციალური ხელისუფლებისგან შუამდგომლობა მე ჯერ არ მინახავს.

– ამას რით ხსნით?

– არ ვიცი. შეიძლება რაღაც დახურული პროცესი მიმდინარეობს და უკრაინის მხარესაც მხოლოდ შუამდგომლობა შუამდგომლობისთვის არ უნდა, რაღაცა შეთანხმება უნდა არსებობდეს ამ საკითხთან დაკავშირებით.

– დასავლეთიც ჩუმად იყო მანამ, სანამ არ მოხდა სააკაშვილის გლდანის ციხეში გადაყვანა, ბოლო ორი დღეა უამრავი მწვავე შეფასება მოვისმინეთ. შეისმენს რამეს საქართველოს ხელისუფლება?

– მე პირველივე დღეს ვთქვი, რომ გადამწყვეტი მომენტი იყო მიხეილ სააკაშვილის გლდანის დაწესებულებაში გადაყვანა. თვალსაჩინო გახდა საერთაშორისო საზოგადოებისთვის უფლებების დარღვევის საკითხი. სწორედ ამის შემდეგ წამოვიდა ეს რეაქცია და ეს არ გაჩერდება, უფრო და უფრო მძიმე იქნება, თუ კონკრეტულ ნაბიჯებს არ გადადგამს „ქართული ოცნება“. ხელისუფლებას ახასიათებს ხოლმე, პირველ ეტაპზე არ იღებს გადაწყვეტილებას, მაგრამ თუ რაიმე ზემოქმედებას ახდენს მის გადაწყვეტილებაზე, ეს არის საერთაშორისო საზოგადოება და ვფიქრობ, ზუსტად ასე იქნება ახლაც. გულწრფელად უნდა ვთქვათ ისიც, რომ სააკაშვილის გამოშვებასთან დაკავშირებით ნაკლებად არის ეს განცხადებები, ეს არის ჯანმრთელობის უფლებასთან დაკავშირებით, რაც ყველა კანონით და ყველა მუხლით გარანტირებული უფლებაა ნებისმიერი მოქალაქის. „ქართულმა ოცნებამ“ საკუთარი ქმედებით პირდაპირ ხაზი გაუსვა, რომ პოლიტიკური კომპონენტი არის ძალიან დიდი ამ საქმეში.

– გაქვთ მოლოდინი, რომ წავლენ დათმობაზე?

– მე ვერ წარმომიდგენია საქმე ისე გამწვავდეს, რომ რაიმე სახის დათმობა არ იყოს, ყველა ვარიანტში იქნება დათმობა. აგერ ნაციონალურმა მოძრაობამ განცხადება გააკეთა და ეს კომპრომისია მათი მხრიდან, რომ აქციები არ გაიმართება იქ, სადაც იქნება მიხეილ სააკაშვილი მოთავსებული. ახლა „ქართული ოცნების“ ჯერია. მე ყველაზე მეტად გული იმაზე მწყდება, რომ ჩვენ აი ამ სამწლიანი კრიზისიდან ვერაფრით ვერ გამოვედით, გამოსავალი ვერ ვნახეთ და ყველა შემდგომი ფაზა უფრო მძიმეა ამ კრიზისის. ასე ვეღარ გაგრძელდება. ასეთი დაპირისპირებული და პოლარიზებული საზოგადოება ჯერ არ ყოფილა, ახლა რომ არის. ხელის ჩამორთმევა სხვა პოლიტიკური პარტიის წევრზე, დანაშაულად ითვლება, გასვენებაში არ მიდის ხალხი პოლიტიკური მიზეზიდან გამომდინარე. წარმოგიდგენიათ, რა დონეზე მივიდა ეს ყველაფერი?! უბრალოდ, ადამიანობა დაიკარგა ქვეყანაში. ჩვენ რეალურად გვაქვს ცივი ომი ქვეყნის შიგნით. ძალიან სტრესული გარემოა და ამას სასწრაფოდ სჭირდება შველა.

„შიდა ქართლში მდგომარეობა სერიოზულად გართულდა“

ქვეყანაში ეპიდემიოლოგიური ვითარება დღითიდღე რთულდება – დაავადებათა კონტროლის ცენტრის ხელმძღვანელი მოსახლეობას ვაქცინაციისკენ მოუწოდებს და ხაზგასმით აღნიშნავს, რომ კლინიკები კოვიდინფიცირებული პაციენტებით სავსეა.

– ეპიდვითარება რთულია, 100 ათას მოსახლეზე გადათვლით ყველაზე რთული სიტუაცია გვაქვს კახეთში, იმერეთში და ახლა ძალიან სერიოზულად გართულდა მდგომარეობა შიდა ქართლში. შემთხვევების რაოდენობა 5 ათასის ფარგლებშია, რაც ძალიან ბევრია. საავადმყოფოთა დატვირთვა უკვე ძალიან სერიოზულია. მძიმე ავადმყოფთა რაოდენობა იმატებს. ამიტომ ერთადერთი, რაც დაიცავს მოსახლეობას, ეს არის აცრა. ამიტომ კიდევ მოვუწოდებ მოსახლეობას, ავიცრათ. რაც მეტი ადამიანი აიცრება, მით მეტი ადამიანის სიცოცხლე გადარჩება საქართველოში, – აღნიშნა ამირან გამყრელიძემ.

ნიკა მელია: „მივესალმებით მიხეილ სააკაშვილის გადაწყვეტილებას“

– მე და მისი მეგობრები მივესალმებით მის გადაწყვეტილებას – კიდევ ერთხელ დადასტურდა, რომ ქართული ოპოზიციის, მიხეილ სააკაშვილის გეგმა არის ამ ქვეყნის განვითარება და არა ხელისუფლების რეჟიმის ანკესზე წამოგება და პროვოკაციაში ჩათრევა.

ამის შესახებ „ნაციონალური მოძრაობის“ თავმჯდომარემ ნიკა მელიამ განაცხადა, რითაც გამოეხმაურა ყოფილი პრეზიდენტის მიხეილ სააკაშვილის გადაწყვეტილებას, რომ ის მზადაა შიმშილობა შეწყვიტოს, თუმცა გარკვეულ პირობას აყენებს.

ნიკა მელიას თქმით, მათი ამოცანა მიხეილ სააკაშვილის ციხიდან დახსნაა, რაც, მისი შეფასებით, ძალისხმევით, მოთმენით და არაძალადობრივი ხანგრძლივი პროტესტით მიიღწევა.

– მწვავე პროტესტი არაძალადობრივი, ყოველდღიური, დისციპლინირებული, ხანგრძლივი, ორგანიზებული და უწყვეტი უკვე ყველა ვრწმუნდებით, რომ თავის შედეგს იღებს. ვრწმუნდებით, რომ ეს პროტესტის ის ფორმაა, რომელიც არ შედიოდა და არ შედის რეჟიმის ფორმებში, მაგრამ შედის ამ ქვეყნის მომავლის გეგმებში და ჩვენ ვაცნობიერებთ, რომ შუალედური ამოცანა არის მხოლოდ უახლოეს პერიოდში ჩვენთვის შესასრულებელი და გადასაწყვეტი, რომელიც გულისხმობს მიხეილ სააკაშვილის საპყრობილედან დახსნას.

მე და მისი მეგობრები მივესალმებით მის გადაწყვეტილებას. კიდევ ერთხელ დადასტურდა, რომ ქართული ოპოზიციის, მიხეილ სააკაშვილის გეგმა არის ამ ქვეყნის განვითარება და არა ხელისუფლების რეჟიმის ანკესზე წამოგება და პროვოკაციაში ჩათრევა, რასაც გეგმავდა ხელისუფლება და რეჟიმი, მაგრამ არაფერი არ გამოუვიდა. ყველა ვაცნობიერებთ, რომ მიხეილ სააკაშვილის დახსნასთან ერთად ჩვენი ამოცანაა გადავწყვიტოთ საკითხი, რა გვინდა ვიყოთ – დასავლური, ცივილიზებული სახელმწიფო თუ რუსეთის უკანა ეზო. იმასაც ვაცნობიერებთ, რომ მიხეილ სააკაშვილის პატიმრობა არ არის მხოლოდ ივანიშვილის პირადი შურისძიება მის წინააღმდეგ, არამედ ეს არის ძღვენი პუტინთან, მაგრამ არა უშავს, დიდი გამარჯვებები ასე მოდის – დიდი ძალისხმევით, მოთმენით და არაძალადობრივი ხანგრძლივი პროტესტით, – განაცხადა ნიკა მელიამ.

გია ვოლსკი: „კადრები სასიამოვნო საყურებელი არ იყო“

– ვერც დავადასტურებ და ვერც უარვყოფ, რომ მიხეილ სააკაშვილი კლინიკაში გადაყვანის თაობაზე მოატყუეს – არავინ იცის, რა გარემოება იყო, შეიძლება დათანხმდა და შემდეგ სწორედ ეს გაითამაშა, რაც მისგან სავსებით მოსალოდნელია.

აღნიშნული განცხადება პარლამენტის პირველმა ვიცე-სპიკერმა გია ვოლსკიმ გააკეთა.

როგორც მან ამ კონტექსტში აღნიშნა, პენიტენციურ დაწესებულებას შეუძლია თავად გადაწყვიტოს, სად განათავსოს პატიმარი.

ვოლსკი იმასაც ამბობს, რომ კადრები აუცილებლად უნდა გასაჯაროებულიყო, რადგან საზოგადოებამ იცოდეს, რა მოხდა რეალურად.

– იქ არ იყო თმებით თრევა, არ იყო მუშტი-კრივი და არ იყო ფიზიკური შეურაცხყოფა, რაც იმ ციხეებში, რომელსაც თავად მიხეილ სააკაშვილი განაგებდა, ჩვეულებრივი ამბავი იყო.

როდესაც პატიმარი წინააღმდეგობას სწევს, იქნება ეს სააკაშვილი თუ ნებისმიერი სხვა, მისი ამ მეთოდით შეყვანა დასაშვებია, თუმცა სასიამოვნო საყურებელი ნამდვილად არ არის. ეს არის მოცემულობა, რასაც თავისი სამართლებრივი ნაწილი გააჩნია, – განაცხადა გია ვოლსკიმ.

ელენე ხოშტარია: „შიმშილობას არ შევწყვეტ“

– სანამ მიხეილ სააკაშვილი არ იქნება გადაყვანილი სამოქალაქო, მულტიფუნქციურ სააკადმყოფოში, რა თქმა უნდა, შიმშილობას არ წყვეტ.

ამის შესახებ „დროას“ ლიდერმა, ელენე ხოშტარიამ 11 ნოემბერს ბრიფინგზე განაცხადა.

მისი თქმით, დღეს არსებული ვითარების განსამუხტავად გასაღები „ქართული ოცნების“ ხელშია.

ხოშტარიამ მიხეილ სააკაშვილს მადლობა გადაუხადა მისი მისამართით გაკეთებული განცხადების გამო.

– პირველ რიგში, მინდა აღვნიშნო, რომ ეს იყო ძალიან მნიშვნელოვანი და გონივრული განცხადება. ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი, რაც მან თქვა და რაც ჩვენ ყველას უნდა გვესმოდეს, ყველა გაბრაზებულ ადამიანს, რომელიც იბრძვის ქუჩაში. დღეს „ქართული ოცნება“ ცდილობს, რომ ქართული საზოგადოება გამოიწვიოს სამოქალაქო დაპირისპირებისთვის. აწყობს პირდაპირ ღია პროვოკაციებს და ჩვენი ყველას ამოცანაა, რომ არ წამოვეგოთ ამას, რადგან ეს არის ის, რასაც ვებრძვით. არანაირ ძალადობრივ დაპირისპირებაში არ უნდა გავყვეთ „ქართულ ოცნებას“.

რაც შეეხება სტრასბურის გადაწყვეტილებასთან დაკავშირებით სააკაშვილის განცხადებას, ესეც, ჩემი აზრით, ძალიან გონივრული გადაწყვეტილებაა მისი მხრიდან, რომ ის ემორჩილება სტრასბურის გადაწყვეტილებას. მიხეილ სააკაშვილმა ეს შანსი გამოიყენა, გადადგა ნაბიჯი და მან ჩამოაყალიბა ძალიან მკაფიო პოზიცია, ის წყვეტს შიმშილობას ძალიან ლეგიტიმური და კონკრეტული მოთხოვნების დათქმით.

ასევე, მინდა ძალიან დიდი მადლობა ვუთხრა ბატონ მიხეილს, ჩემ მიმართ მომართული სიტყვებისთვის. მესმის და ალბათ, მეც ასე მოვიქცეოდი, რომ ნებისმიერი ადამიანის შიმშილი, ეს არის მძიმე სანახავი, არასასიამოვნო პროცესი. ამასთან, მე გადაწყვეტილება არ მიმიღია არავის მითითებით, გადაწყვეტილება მივიღე კონკრეტული მოთხოვნით, რომ მიხეილ სააკაშვილის სიცოცხლე და ჯანმრთელობა არ იყოს საფრთხის ქვეშ. დღეს კიდევ ერთხელ, ძალიან კონკრეტული გარემოებებით, სტრასბურის მოთხოვნით და მიხეილ სააკაშვილის კომპრომისით, „ქართული ოცნების“ ხელშია უკვე, საბოლოო გასაღები ამ კრიზისის განმუხტვის. სანამ მიხეილ სააკაშვილი არ იქნება გადაყვანილი სამოქალაქო მულტიფუნქციურ სააკადმყოფოში, რა თქმა უნდა, შიმშილობას არ წყვეტ, – განაცხადა ხოშტარიამ.

11 ნოემბერს მიხეილ სააკაშვილმა ელენე ხოშტარიას შიმშილობის შეწყვეტისკენ მოუწოდა.

ახალი თაობა
გამოდის 1993 წლის 23 ივლისიდან

მთავარი რედაქტორი – სოსო გოგინაშვილი
რედაქტორი – ლალი ასლანიშვილი
საფინანსო სამსახური – კლარა ბალავაძე
სარეკლამო სამსახური – 599-532-690
დირექტორი – ზურაბ ბერიძე
გავრცელების სამსახური – მერაბ ლეკვერაშვილი
ვებგვერდი: akhalitaoba.ge
ელ.ფოსტა: axtaoba@gmail.com
ტელეფონი: 599-532-690

რედაქციაში შემოსული მასალები არ რეცენზირდება და ავტორებს არ უბრუნდება. რედაქციის თანხმობის გარეშე გაზეთში დაბეჭდილი მასალების, სურათების და სარეკლამო განცხადებების სრული ან ნაწილობრივი გამოყენება აკრძალულია. სტატიაში გამოქვეყნებული მასალების სიზუსტეზე პასუხს აგებს ავტორი. საავტორო უფლებები დაცულია.

„ოპოზიცია „ოცნებასთან“ საინფორმაციო ომს აგებს“

ნიკა ჩიტაძე: „ხელისუფლება დაპანიკებულია და ერთი მხრივ ძალის დემონსტრირებას ცდილობენ, მეორე მხრივ – ხალხის გულის მოგებას“

იაგო ნაცვლიშვილი

რა მოიგო ხელისუფლებამ მიხეილ სააკაშვილის გლდანის ციხეში გადაყვანის კადრების გავრცელებით? რა გზავნილს აკეთებს ხელისუფლება თავისი ქმედებებით და რა რეაგირებაა მოსალოდნელი დასავლეთის მხრიდან? — ამ და სხვა საკითხებზე „ახალ თაობასთან“ ინტერვიუში პოლიტოლოგი ნიკა ჩიტაძე საუბრობს.

– პენიტენციურმა სამსახურმა სააკაშვილზე მორიგი ვიდეო გაავრცელა. რას ემსახურება ეს და თავად ხელისუფლება რას იგებს ამ კადრების გამოქვეყნებით?

– ხელისუფლება არაფერს არ იგებს, მაგრამ მათი მიზანია, რომ დაამტკიცონ, თითქოს არავითარი ძალა არ გამოუყენებიათ სააკაშვილის მიმართ. უბრალოდ, ის უარს აცხადებდა გადმოსვლაზე და ამიტომაც მოხდა შემდგომში ძალის გამოყენება მის წინააღმდეგ. თითქოს თავს იმართლებს ხელისუფლება, მაგრამ რეალურად არაფერს იგებენ.

– პირიქით ხომ არ არის და აქაც იმის დემონსტრირება ხომ არ უნდოდათ, რომ – შეხედეთ, თუ შიმშილობს, წინააღმდეგობას როგორ უწევსო?

– შესაძლოა მაგის დემონსტრირება უნდოდათ, რომ როგორ შეიძლება ადამიანი 40 დღე შიმშილობდეს და უცებ იმის ძალა ჰყოფნის, რომ წინააღმდეგობა გაუწიოს. აქ კიდევ შეიძლება იყოს ძალის დემონსტრირებაც, რომ თუ ვინმე წინააღმდეგობას გაუწევს, შესაბამის ზომებს მიიღებენ.

– გზავნილია, რომ ძალადობრივ მეთოდებზე გადადიან?

– ნაწილობრივ ეს გზავნილიც არის და ამის გაკეთება შეუძლიათ, უფრო სწორად, აკეთებენ კიდეც, მეორე მხრივ, თავის სამართლებლად უნდოდათ, რომ სააკაშვილის წინააღმდეგ ძალა არ გამოუყენებიათ და სააკაშვილი თავად იყენებდა ძალას და თავად გახდნენ იძულებულები, რომ საპასუხო ზომები მიეღოთ.

– როგორც ექცევიან მესამე პრეზიდენტს, ეს ხალხისთვისაც ხომ არ არის გზავნილი, ხომ ნახეთ, პრეზიდენტს როგორ ვექცევით და თუ „ჭკუით არ იქნებით“, თქვენ რა დღე მოგელით წარმოიდგინეთო. ცოტა პრიმიტიულად ჟღერს, მაგრამ ამ მესიჯს ხომ არ უგზავნიან ხალხს?

– კი, ეგეც არის. ძალის დემონსტრირებაც არის ერთ-ერთი მიზანი. რეალურად ხელისუფლება შეშინებულია და ნახეს, რომ სულ უფრო და უფრო უჭირთ არჩევნებში გამარჯვება. გახსოვთ, როგორ დაპანიკდნენ 2018 წელს, როდესაც სალომე ზურაბიშვილმა პირველ ტურში ვერ გაიმარჯვა. როგორ გამოვიდა შეშინებული ბიძინა ივანიშვილი და თქვა – 1 წელიც მაცადეთ და ყველა პრობლემას მოვაგვარებო. საგანგებო მიმართვა გაავრცელა. 2020 წელსაც გაუჭირდათ და ფაქტია, რომ ოპოზიციამ უფრო მეტი ხმა მიიღო, ვიდრე ხელისუფლებამ, მაგრამ გაუმართლათ, რომ 30-ვე მაჟორიტარულ ოლქში გაიყვანეს თავისი კანდიდატები. ფაქტია, რომ მუნიციპალურ არჩევნებშიც გაუჭირდათ – ფაქტია, რომ წალენჯიხა წააგეს და რამდენიმე მუნიციპალიტეტის საკრებულოში ოპოზიციას აქვს უმრავლესობა. ამის გამო გარკვეულწილად დაპანიკდნენ. ამიტომაც არის, რომ ერთი მხრივ ძალის დემონსტრირებას ცდილობენ და მეორე მხრივ – ხალხის გულის მოგებას.

– ახლა რაში სჭირდებათ ხალხის გულის მოგება. არჩევნები ჩავლილია და გვეუბნებიან 3 წელი აღარ იქნებაო. ერთადერთი, აქციები რჩება და ამის ხომ არ ეშინიათ?

– არჩევნები კი ჩავლილია, მაგრამ დაინახეს, რომ პატიოსანი გზით არჩევნებს ვერ მოიგებენ. მოსახლეობის უდიდესი ნაწილი მათ არ ემხრობა. იგივე მეორე ტურში 48%-მა მიიღო მონაწილეობა, ანუ ნახევარზე ნაკლებმა. ფაქტია, რომ რამდენიმე საკრებულოში დაკარგეს უმრავლესობა და არსებობს შესაძლებლობა, რომ საკრებულომ გადააყენოს მერი. ამას გარდა წალენჯიხის მაგალითმა შექმნა პრეცედენტი, რომ „ოცნება“ შესაძლოა დამარცხდეს.

კი, 3 წელი არ უნდა ჩატარდეს არჩევნები, მაგრამ თუ ხალხში მომძლავრდა უკმაყოფილება კიდევ უფრო მეტად, მაშინ მეტი ადამიანი გამოვა ქუჩაში და მოითხოვს მათ გადადგომას.

ამას გარდა, 2024-ში უკვე პროპორციული არჩევნები უნდა ჩატარდეს და იქ განსაკუთრებით გაუჭირდებათ გამარჯვება. ამიტომაც თავიდანვე დაიწყეს მზადება, რომ ხალხის გული მოიგონ და 2024 წლისთვის იმის წინაპირობა არსებობდეს, რომ ძალაუფლება შეინარჩუნონ. ხედავთ, რომ აფორიაქებულები არიან, ღარიბაშვილმა მოიწვია მუნიციპალიტეტების წარმომადგენლები და აღუთქვა დახმარება. ამიტომ ცდილობენ ერთი მხრივ ხალხის გულის მოგებას და მეორე მხრივ ძალის დემონსტრირებას – იგივე მოდულის შენობასთან განვითარებული მოვლენებით, ან თუნდაც სააკაშვილის კადრების გავრცელებით, ამის მცდელობაა.

მაგრამ, რეალურად ხელისუფლება ვერაფერს ვერ იგებს. იგივე სააკაშვილის გლდანის ციხეში გადაყვანით ვითარება გაირთულა. მან აწია ტემპერატურა თავისთვის ცუდი მიმართულებით.

– თუკი აქამდე ნაკლებად ისმოდა საერთაშორისო პარტნიორების ხმა, ამის შემდეგ აშკარად მძლავრად გავიგეთ. სალომე სამადაშვილი იმასაც ამბობს, რომ სააკაშვილის მოსანახულებლად იგეგმება ევროპელი პოლიტიკოსებისგან შემდგარი დელეგაციის ჩამოსვლა. ამ მიმართულებით რას ელოდებით?

– იგივე კუბილიუსი გამოვიდა და თქვა, რომ ქართველ ხალხს მოუწევს არჩევანის გაკეთება ევროინტეგრაციასა და „ოცნებას“ შორისო. ვიოლა ფონ კრამონმა კი თქვა, რომ საქართველო ძალიან შორს არის ევროკავშირისგან. ვიღაცამ შეიძლება თქვას, ყველა ხომ არ გამოდის, ყველა ხომ არ ლაპარაკობს ამაზეო, მაგრამ ეს ძალიან არასწორი მიდგომაა.

– თუმცა, იგივე კრამონი ძალიან თავშეკავებულია ხოლმე და მწვავედ არ აკრიტიკებს ხელისუფლებას, განსხვავებით კუბილიუსისგან. ესეც ხომ განსაზღვრავს ევროკავშირის დამოკიდებულებას?

– კი ბატონო. უკვე კრიტიკა კი არა, ახლახან იყო, როდესაც ევროკავშირმა უკვე უარი უთხრა საქართველოს თანხის გამოყოფაზე.

– ამ მიმართულებით ელოდებით ახალ ნაბიჯებს?

– მგონია, რომ იქნება. მართლა თავისთვის სულელურ რაღაცებს აკეთებს ხელისუფლება. იგივე იუსტიციის საბჭოს წევრების დანიშვნა, თუნდაც სააკაშვილზე რასაც აკეთებენ. ამაყობენ, რომ თითქოს ციხეში ისე არ ურტყამენ ხალხს, როგორც „ნაცმოძრაობის“ მმართველობის დროს ხდებოდა, მაგრამ ეკონომიკური და სოციალური პრობლემები ვერ გადაჭრეს, დემოკრატიული განვითარების კუთხით, პირიქით, უკან ვიხევთ. ამ დაძაბულობის ფონზე კიდევ დამატებით კრიტიკას რომ იმსახურებენ, არ ვიცი, ამას რა დავარქვა?!

– თვითმკვლელობის მიმართულებით მიდიან?

– არ ვიცი. შესაძლოა ვერც აცნობიერებენ, რასაც აკეთებენ. ალბათ ჰგონიათ, რომ სწორი მიმართულებით მიდიან. ეგრე ეგონათ მაშინაც, როდესაც დანამატებს და პრემიებს ირიგებდნენ ხალხის ხარჯზე და მოხდა ისე, რომ მათი რეიტინგი დაეცა.

– ოპოზიციას რაც შეეხება, სწორად მოქმედებს და არის თუ არა აქცია ისეთი მძლავრი, რაც ამ სიტუაციაშია საჭირო?

– შესაძლოა ხალხის საკმარისი რაოდენობა არ არის, მაგრამ მე ადრეც მაქვს ნათქვამი თქვენთან ინტერვიუში, რომ ოპოზიციის ერთ-ერთი მთავარი შეცდომაა ის, რომ არ იმუშავეს ჭორების გაფანტვაზე. ამიტომაც არის, რომ ბევრი ნეიტრალურად განწყობილი ადამიანი აცხადებს, რომ არც „ოცნება“ მინდა და არც „ნაცმოძრაობაო“. ფაქტია, რომ ამომრჩევლის ნახევარზე მეტი არ მივიდა მეორე ტურებზე. ამ ხალხთან მუშაობა იყო საჭირო, აეხსნათ, რა გაკეთდა 9 წლის განმავლობაში და ემუშავათ ჭორების გაფანტვაზე – იგივე ჟვანიას სიკვდილზე, რაფალიანცის შემთხვევა იყო, ის, რომ ბენზინიდან ლარი სააკაშვილის ჯიბეში მიდიოდა და ა. შ.

– ჭორების გაფანტვა ერთია და მეორე, ისიც ხომ არ არის, რომ სათანადოდ ვერ დაარწმუნეს ადამიანები, რომ ხელისუფლებაში დაბრუნების შემთხვევაში იგივე შეცდომებს აღარ გაიმეორებენ?

– არა, მაგ მიმართულებითაც არ უმუშავიათ. რაც იყო, იმაში ბევრი ტყუილია და, რა თქმა უნდა, წარსულზეც უნდა ისაუბრო, აწმყოზეც და მომავალზეც. ბევრი რამე, რაც მათ შესახებ ითქვა, ტყუილია, იგივე ხალხის გაუპატიურება რომ ხდებოდა და 26 000 ადამიანი გააუპატიურეს, 150 კაცი ქუჩაში როგორ მოკლეს და ა. შ. ეს ტყუილია და უნდა დაამტკიცო, რომ ამის არანაირი ფაქტები არ არსებობს. კი ბატონო, შეცდომებზე უნდა ისაუბრონ, მაგრამ ისიც უნდა აღნიშნონ, რომ 7 ნოემბერს სახელმწიფო გადატრიალება იგეგმებოდა და ბადრი პატარკაციშვილი, რომელიც რუსულ თამაშს თამაშობდა, ისე გეგმავდა ამას. 20 ივნისისგან განსხვავებით, 7 ნოემბერს სააკაშვილი გადადგა. 20 ივნისს კი ტყვიების სროლის ბრძანების გამცემი დააწინაურეს პრემიერად, თუმცა, როცა პრემიერობიდან გადადგა, უცბად გახდა ცუდი ადამიანი.

ანუ, რაღაცა მიმართულებით უნდა იმუშაოს ოპოზიციამ. იმიტომ, რომ საინფორმაციო ომს აგებს. ბევრი ადამიანი ფიქრობს, რომ ოღონდ „ნაციონალები“ არ მობრუნდნენ და ისევ „ოცნებას“ აძლევენ ხმას. ასევე უნდა დაამტკიცონ, რომ ყველა მთავრობის ერთ ქვაბში მოხარშვა არ შეიძლება და ვინც არ უნდა იყოს ხელისუფლებაში, ხალხისთვის რომ არავინაა, ეს ბლეფია. უნდა დაარწმუნონ ხალხი, რომ რაც ცუდი იყო იმ წლებში, ის აღარ განმეორდება და რაც კარგი იყოს, იმაზე მუშაობა განახლებული ენერგიით იქნება, იგივე ინფრასტრუქტურული პროექტები და ა. შ.

„მტერიც კი არ უნდა დაამცირო ასე, არათუ ყოფილი პრეზიდენტი“

კახა კოჟორიძე: „არ გამოვრიცხავ, რომ ხელისუფლება დასავლური კურსიდან გადახვევის მიზანს ემსახურება“

ნათია ხურცილავა

იურისტი კახა კოჟორიძე „ახალ თაობასთან“ ინტერვიუში ქვეყანაში მიმდინარე პოლიტიკურ პროცესებზე საუბრობს.

– ბატონო კახა, თქვენ ამბობთ, „ქართულ ოცნებას“ ჰგონია, ოპონენტს ურტყამს და ამ დროს მოქნეული ხელი სახელმწიფოსა და მის დასავლურ კურსს ხვდება. როგორ შეიძლება მოვლენები განვითარდეს?

– უმძიმესი პროცესები ვითარდება. ჩემთვის, როგორც იურისტისთვის და ამ ქვეყნის მოქალაქისთვის, ძალიან მძიმე სანახავია ეს ყველაფერი. ზოგადად, ყველა ქვეყანაში პატიმართან ურთიერთობაში სახელმწიფო თავის სახეს წარმოაჩენს.

წინა ხელისუფლებამ, როდესაც დაკარგა სახე პატიმრებთან ურთიერთობაში, დაკარგა ძალაუფლებაც. ახლაც სწორედ იგივეს ვხედავთ. ვხედავთ, როგორ კარგავს პატიმართან ურთიერთობაში ეს ხელისუფლება სახეს. სხვათა შორის, ამ შემთხვევაში სულაც არ აქვს გადამწყვეტი მნიშვნელობა, ვინ არის პატიმარი, რიგითი მოქალაქე თუ ყოფილი პრეზიდენტი. ნებისმიერ ადამიანს, არ აქვს მნიშვნელობა, ამ ქვეყნის მოქალაქეა თუ სხვა ქვეყნის, მოქმედი პრეზიდენტია თუ ყოფილი, ადამიანი, მტერიც რომ იყოს, არ უნდა დაამცირო. მტერსაც ღირსეულად უნდა მოექცე. არ წაუკითხავთ მაინც ქართული თუ უცხოური ლიტერატურა, ჩვენი ხალხური შემოქმედება?! რა ხდება, ვერ გავიგე, როგორ ჯდება ეს ყველაფერი ადამიანურ მორალში, ეთიკაში?!

კიდევ უფრო რთული და მძიმეა იმის გააზრება, რომ გავრცელებული კადრები შემთხვევით კი არ არის მოხვედრილი მედიასივრცეში, არამედ მიზანმიმართულად.

– რითი ხსნით თქვენ ამას?

– გაუგებარია რა მიზანს შეიძლება ემსახურებოდეს. ამ კადრებით უფრო აჩენენ სააკაშვილის მიმართ ემპათიას, თანაგრძნობას. როგორც ჩანს, ხელისუფლებას აქვს წარმოდგენა, რომ საქართველოს მოქალაქეები ბედნიერები იქნებიან ამ კადრების ნახვით.

– მაღალი საჯარო ინტერესი, ასეთი იყო განმარტება.

– სრულიად გაუგონარია. მოტყუებით რომ გადაჰყავთ გლდანის ციხის საავადმყოფოში და მოტყუებით, მისი ნების საწინააღმდეგოდ რომ შეათრიეს, ეს ჩანს ამ კადრებზე. ეს კადრები ხომ ეწინააღმდეგება მათივე საჯაროდ ნათქვამს, რომ სააკაშვილი არ შიმშილობს, რომ კარგად არის და არავითარი მკურნალობა არ სჭირდება. მაშინ, რატომ გადაიყვანეს?!

აქ რა მნიშვნელობა აქვს, ვის რა დამოკიდებულება ჰქონდა მიხეილ სააკაშვილის მიმართ წარსულში თუ აწმყოში?! მიხეილ სააკაშვილი ხელისუფლებაში რომ იყო, მაშინაც ვიბრძოდი ამ ყველაფრის წინააღმდეგ და დღესაც ვიბრძვი, როდესაც მას ასე ექცევიან?! ჩვენ უნდა გავიაზროთ, რომ ასე არ უნდა მოიქცეს სახელმწიფო. ამ სახელმწიფოს ნაწილი ვართ თითოეული ჩვენგანი. ასევე, უნდა გავაცნობიეროთ, რომ სახელმწიფო ასე ჩვენი სახელით იქცევა. არ მინდა, რომ ჩემი სახელით ასე იქცეოდეს სახელმწიფო. ამიტომ მქონდა პროტესტი მაშინაც და მაქვს დღესაც.

შემაშფოთებელია ჩვენი დასავლელი პარტნიორების განცხადებები. უკვე არჩევანის წინაშე დაგვაყენეს ან „ქართული ოცნება“ უნდა აირჩიოთ, ან დასავლეთი და ევროკავშირიო. ეს ძალიან მძიმე შეფასებებია. არ გამოვრიცხავ, რომ ხელისუფლება სრულიად შეგნებულად მიდის ამ ყველაფერზე. დასავლური კურსიდან გადახვევის მიზანსაც შეიძლება ეს ყველაფერი ემსახურება.

რა დასკვნაც არ უნდა გამოვიტანოთ ხელისუფლების მიერ გადადგმული ამ ნაბიჯებიდან, აშკარაა, რომ ეს მხოლოდ ჩვენს სახელმწიფოს, მის თითოეულ მოქალაქესა და მის მომავალს ამ ქვეყანაში, აზიანებს.

2012 წელს, როდესაც ხელისუფლება შეიცვალა, ბიძინა ივანიშვილმა თქვა, რომელიც ძალიან მომეწონა: ჩვენს ოპონენტებს ისე კი არ უნდა მოვექცეთ, როგორც იმსახურებენ, არამედ ისე, როგორც ამას იმსახურებს ჩვენი სახელმწიფო და ჩვენი ხალხიო. კითხვა მაქვს ბიძინა ივანიშვილთან: ამას იმსახურებენ ამ ქვეყნის მოქალაქეები?!

კიდევ ერთი, სააკაშვილს საკუთარ პროცესზე დასწრების უფლება რომ არ მისცეს, ეს სრულიად გაუგონარი და წარმოუდგენელი ამბავია. უამრავი ფაქტი არსებობს უფლების დარღვევის, მაგრამ სიმართლე გითხრათ, არც კი მახსენდება, ასეთი გაუგონარი რამ მომხდარიყოს.

– სტრასბურის სასამართლოს გადაწყვეტილებაზე რას იტყვით? ახალი გარემოება, ახალი კადრები, რამდენად წაეშველება დაცვის მხარეს?

– დაცვის მხარისთვის ეს კადრები ნამდვილად იქნება კარგი არგუმენტი იმის დასადასტურებლად, რომ სააკაშვილის ნების საწინააღმდეგოდ მოხდა გადაყვანა გლდანის ციხის საავადმყოფოში. ზოგადი კონტექსტისა და სურათის წარმოსაჩენად გავრცელებული ვიდეოკადრები მნიშვნელოვანი მტკიცებულება იქნება სასამართლოსთვის.

ხათუნა ხოფერია: „სააკაშვილს გლდანში პატიმარმა რომ აგინა, რატომ გაუკვირდათ?!“

„გიგი უგულავა ზნედაცემული არაკაცია“

გულიკო ბალაძე

პარლამენტის ყოფილი დეპუტატი ხათუნა ხოფერია „ახალ თაობასთან“ ინტერვიუში ამბობს, რომ მან ღია ეთერით მიმართა პროკურატურას ჟვანიას საქმის განახლების აუცილებლობის შესახებ:

– ბოლოს და ბოლოს, ან დახუროს, ან რაღაც გააკეთოს. ჟვანიას საქმეს აუცილებლად უნდა ერთვოდეს იმდროინდელი პრეზიდენტის დაკითხვის ოქმი, რომელსაც ძალიან ბევრი ადამიანი ბრალს ვდებთ ზურაბ ჟვანიას მკვლელობაში.

– თქვენი აზრით, პროკურატურა ჟვანიას საქმეს რატომ არ ასრულებს?

– ვფიქრობ, უფრო გარედან ჩარევა ხდება, რადგან სასამართლო ექსპერტიზის მასალები და ყველაფერი დღესდღეობით ამერიკაშია. დასკვნის რაღაც ნაწილი გამოაგზავნეს, მაგრამ თავის დროზე, მთელი მასალა აშშ-ში წაიღეს. ვფიქრობ, ხელისუფლებამ ყველაფერი უნდა გააკეთოს, რომ ერთხელ და სამუდამოდ, ეს საქმე შეიკრას და ყოველგვარი გაყალბების გარეშე დასკვნა დაიდოს, რეალურად, რა როგორ იყო.

იმ ღამეს, 2-3 საათზე მიხეილ სააკაშვილი ავარიაში მოხვდა. რა იყო, რატომ მოხვდა ავარიაში, ამ საქმეზე პასუხი აგებინეს მის მძღოლს, რომელიც საჭესთან ნამდვილად არ იჯდა.

– აბა, ვინ იჯდა?

– საჭესთან სააკაშვილი იჯდა. ეს ყველაფერი გამოსაძიებელი და ბოლომდე მისაყვანია. ამ ქვეყანაში სულ იყო არჩევნები, 9 წელი შუალედი არ ყოფილა. ახლა გვეუბნებიან, სამწლიანი სიმშვიდე იქნებაო. კეთილი ინებოს ხელისუფლებამ და ისე მოიქცეს, რომ ვერავინ წამოგვაყვედროს, ვერც ჩვენ და ვერც ხელისუფლებას, რომ ჟვანიას საქმეს იყენებენ არჩევნებისთვის და პოლიტიკურ იარაღად. ამ ფონის გარეშე ჟვანიას საქმე ერთხელ და სამუდამოდ დაამთავროს.

– ჟვანიას საქმეზე მასალები ამერიკაშიაო. ქართული მხრიდან არასათანადო მოთხოვნაა მასალების გადმოგზავნაზე თუ იქიდან ხელის დაფარება ხდება?

– არაფერი არ ვიცი. არაფერი თქმულა. არც სასამართლო ყოფილა, რომ რაღაც გაგვეგო და რაღაც გვექნა. არც საბოლოო დასკვნაა. მასალა, რომელიც აიღეს სამხარაულის ექსპერტიზის ბიუროში, წაიღეს აშშ-ში. ის მასალა ოდესმე ხომ უნდა დაბრუნდეს თავის დასკვნასთან ერთად?!

– ერთ მხარეს არის საქმეები სააკაშვილის წინააღმდეგ, მეორე მხარეს ის ხმაური, რაც სააკაშვილის ცხოვრებაში ყოფნასა და შიმშილობაზე შეიქმნა. ადამიანის უფლებათა საერთაშორისო ორგანიზაციის საიტზე დაიწერა, რომ სააკაშვილს არასათანადოდ ექცევიან. ეს გაკეთდა მას შემდეგ, რაც სააკაშვილი ციხის საავადმყოფოში გადაიყვანეს.

– რას ნიშნავს არასათანადო მოპყრობა? პატიმრები უსტვენდნენ და შეურაცხყოფას აყენებდნენ? სააკაშვილი 2011-2012 წლებში, სანამ საქართველოში იყო, რესტორანში რომ შედიოდა, მაშინაც უსტვენდნენ, მაშინაც აგინებდნენ, მაშინაც შეურაცხყოფას აყენებდნენ. კადრებია, აეროპორტში როგორ მიდიან რიგითი მოქალაქეები და როგორ ურტყამენ, როგორ უსტვენენ, როგორ აგინებენ და როგორ ლანძღავენ.

ვერ გავიგე, რა გაუკვირდათ? მაინცდამაინც პატიმარმა რომ აგინა ციხის საავადმყოფოში, იმაზე გაგიჟდნენ და გადაირივნენ? რესტორანში და აეროპორტში რომ აგინეს, დღე და ღამ რომ აფურთხებდნენ, იმის შემდეგ რატომ გაუკვირდათ? შეიძლება მისმა გამომწყვდეულმა პატიმრებმა, რომლებსაც საშინელებები მოუწყო მის მიერ შექმნილ გულაგებში და საშინელებები გამოატარა, ათასგვარი შეურაცხყოფა მიაყენა, აგინეს. რა გაუკვირდათ? არ იცოდა, რომ აგინებდნენ?

რა გავაკეთოთ ახლა, მიშასთვის არ უკითხავთ, ციხეში რომ გადაჰყავდათო. რა უნდა ეკითხათ, სად გინდა, მიშა, სად გადაგიყვანოთო? რომ ეთქვა, „შერატონში“ მინდა, „მერიოტში“ მინდაო? „შერატონში“ ან „მარიოტში“ გადაიყვანდნენ? რა ლაპარაკია, ვერ გავიგე.

ოპოზიცია, საერთოდ, ლოგიკიდანაა გამოსული, კანონს მიღმაა გასული. ჩვენი ქვეყნის კონსტიტუციის მიღმაა გასული. ამის უფლებას დღევანდელი ხელისუფლების გარკვეული პირები აძლევენ.

– ითქვა, რომ ციხის თანამშრომელმა სააკაშვილს უთხრა, ჩიტო, მოხვედიო? სააკაშვილმა თქვა, თმებით მათრიეს.

– ვერ გავიგე, თმებით როგორ ათრიეს? თმა კარგად უნდა ჩაბღუჯო და ათრიო. რა თმა აქვს თავზე, ამ უპატრონოს ასეთი, თმებით რომ ეთრიათ? ვერ გავიგე, დალალები აქვს? დალალდაწნული ბიჭი მყავს თუ რა, რით უნდა ეთრიათ? ხომ ხვდებით, რომ ეს შერყეული ფსიქიკის ნაყოფია. სად გინახავთ, კაცი თმებით ეთრიოთ? თან იმ სიგრძე და იმ სისქეა, რომელი თმა გაუძლებს?

რაც შეეხება გამონათქვამს, მოხვედი, ჩიტო, თუ რაღაც – ჯერ ერთი, მე არ ვიცი, რამდენად დასტურდება, ან რით აპირებენ, ეს დაადასტურონ, მაგრამ რაც ამ გამონათქვამთან დაკავშირებით გიგი უგულავამ იკადრა, ეს ზნედაცემული, უსინდისო, არაკაცის წამოთქმულია, როდესაც ადამიანი იმ კაცის შვილის კლასელებს მოუწოდებს, დააბულინგეთ პატარა ბავშვიო. ამას ადამიანი არ გააკეთებს, ხალხო!

გიგი უგულავამ ამით დაადასტურა, რომ ისინი არიან ადამიანები, რომლებზეც ამბობდნენ, მამის თვალწინ შვილებს აუპატიურებდნენო. „სკოჩებით“ უკრავდნენ თვალებს, ძალით ახელინებდნენ და აყურებინებდნენ, შვილებს როგორ აუპატიურებდნენ, მამებზე შურს შვილებით იძიებდნენ. გიგი უგულავამ ამ განცხადებით დაადასტურა, რომ ისინი ამას მართლა აკეთებდნენ, რადგან შვილით გადაწყვიტა ანგარიშსწორება.

მაგ განცხადებაზე იძულებული გახდა, ბოდიში მოეხადა, მაგრამ ეს ისეთი განცხადებაა, რომელსაც ბოდიში აღარ შველის.

– თქვენ თვით, ოპოზიცია ასე რომ იქცევა, „ქართული ოცნების“ ზოგიერთი წარმომადგენლის ბრალიაო. მათ ვინმე უწყობს ხელს?

– ყველაფერი კოაბიტაციის ბრალია. ყველაფერი კოაბიტაციამ მოიტანა. იმ დაუსჯელობის სინდრომის ბრალია, რომელიც 9 წელია ქვეყანაში გამძვინვარებულია. ეს იმის ბრალია, რომ სამსახურებში ძალიან ბევრი ქვეყნის მოღალატე და სახელმწიფოს მტერი დატოვეს. ამ ადამიანებმა დაიჯერეს, რომ მათ ყველაფრის უფლება ჰქონდათ. ამდენი წელი შეურაცხყოფას გვაყენებდნენ. ყველაფერი იმის ბრალია, რურუა ციხიდან რომ გამოუშვეს. მელია ციხიდან რომ გამოუშვეს, რომელმაც ქართველ ხალხს სამაჯური თავზე დაახია, სახელმწიფოს სახეში ესროლა, ქოსატყუილამ სახელმწიფოს ურცხვად გაულაწუნა იმ სამაჯურის სროლით, მაგრამ ის, როგორც პოლიტპატიმარი, ისე გამოუშვეს ციხიდან.

ეს არის შარლ მიშელის ხელშეკრულებისა და იმ მოლაპარაკებების ბრალი, გვერდით რომ დაისვეს და ელაპარაკებოდნენ. დღევანდელი ვითარება უტვინო პოლიტიკის შედეგია, რომელიც, ჩვენდა სამწუხაროდ, ტარდებოდა ამ ქვეყანაში, სადაც არც სამართალი აზეიმეს, არც სიმართლემ გაიმარჯვა, სადაც დამნაშავეს არ მიეზღო ჩადენილი დანაშაულებისთვის.

ახლა, როცა გადაწყვიტეს, ყველამ პასუხი უნდა აგოს ჩადენილი დანაშაულისთვის, ნაცრეჟიმის შემოქმედებს უკვირთ, 9 წელი არაფერი გაგვიკეთეთ და ახლა მოგინდათო? ვფიქრობ, ახლა მაინც გააკეთონ რამე, პროცესი გეგმაზომიერად ბოლომდე მიიყვანონ. სააკაშვილი დამნაშავეა, სააკაშვილი უნდა დაისაჯოს. აქ ორი აზრი არ არსებობს.

– გარკვეული პირების მიერ გაჟღერდა, რომ მხარეებმა უნდა მოილაპარაკონ. ახლა რაზე შეიძლება მოილაპარაკონ ხელისუფლებამ და ნაცებმა?

– ყველანაირი რესურსი ერთი მხრიდანაც და მეორე მხრიდანაც ამოწურულია. ახლა, ერთადერთი, რაც ჩვენ დაგვრჩენია (ადამიანებს, მოქალაქეებს), გარედან ვუყუროთ, კარგად დავაკვირდეთ და შემდეგ გადაწყვეტილება მივიღოთ.

ყველას თავისი წილი პასუხისმგებლობა უნდა დაეკისროს, აქეთა მხრიდანაც და იქითა მხრიდანაც.

„ბუბა კიკაბიძე კიევშია ჩასული უკრაინის ხელისუფლებასთან მოსალაპარაკებლად“

სოსო შატბერაშვილი: „კრიზისის განმუხტვის ერთადერთი საშუალება სააკაშვილის უკრაინაში ექსტრადირებაა“

მარიამ მჭედლიშვილი

ქვეყანაში შექმნილ რთულ სიტუაციაზე „ახალი თაობა“ ესაუბრა „მემარცხენე ალიანსის“ თავმჯდომარეს, სოსო შატბერაშვილს.

– სანამ მესამე პრეზიდენტს რუსთავის საპყრობილედან გლდანის ციხეში გადაიყვანდნენ, მსოფლიო მის პატიმრობას და შიმშილობას ყურადღებას არ აქცევდა. ბოლო დღეებში მასზე ალაპარაკდა საერთაშორისო საზოგადოება – სტრასბურის სასამართლოთი დაწყებული, უცხოელი პოლიტიკური პარტნიორებით დამთავრებული. ხელისუფლება მას ცუდად მოექცა?

– გეთანხმებით იმაში, რომ თავიდან სააკაშვილზე ყველა დუმდა. შემდეგ ამოქმედდნენ ლობისტური კომპანიები. სააკაშვილის დაპატიმრება შოკისმომგვრელი აღმოჩნდა ყველასთვის საქართველოს შიგნითაც და გარეთაც. პირადად მე მის დაპატიმრებაზე ინფორმაცია რომ გავიგე, ფეიკი მეგონა. სანამ პრემიერმა ღარიბაშვილმა არ განაცხადა ამის შესახებ, არ დავიჯერე. გავიდა დრო და ატყდა ხმაური. ეს, ძირითადად, ლობისტების აქტიურობის შედეგია.

– სახალხო დამცველის აპარატი საუბრობს სააკაშვილის პერსონალური მონაცემების გასაჯაროებაზე.

– კადრებიც რომ არ გვენახა, ცხადია, რომ მოშიმშილე ადამიანი 40 დღის შიმშილობის შემდეგ ისე მხნედ ვერ იქნება, როგორც სააკაშვილი. თავად მიშიმშილია და საკუთარ თავზე მაქვს გამოცდილი, რა მოსდის მოშიმშილეს. 2004 წელს მე და ჩემი მეგობრები ვშიმშილობდით სემეკის ოფისში.

– ელექტროენერგიის მოსალოდნელ გაძვირებას აპროტესტებდით?

– დიახ. მაშინ ტარიფი უნდა გაეზარდათ 25 თეთრამდე. შიმშილობის მესამე დღეს უკვე უძლურად გავხდით. მეხუთე დღეს ფეხზე ძლივს ვიდექით. აცეტონის სუნი ამოგვდიოდა პირიდან. სემეკის მაშინდელი თავმჯდომარე თავაძე მეხუთე დღეს დაგველაპარაკა და გვითხრა, რომ ტარიფი აღარ იზრდება. ამის შემდეგ ექიმების მეთვალყურეობის ქვეშ ნელ-ნელა დავიწყეთ საკვების მიღება. 3 კვირის განმავლობაში ვიყავით პარალიზებული. ამიტომ ეჭვი მეპარება სააკაშვილის შიმშილობაში. მით უმეტეს, გავრცელებული ინფორმაციითა და კადრებით, იგი იღებს საკვებს. სტრასბურის სასამართლოს გადაწყვეტილება სააკაშვილისა და ნაცმოძრაობისთვის გამანადგურებელია.

– შიმშილობის შეწყვეტისკენ მოწოდებას გულისხმობთ?

– ცხადია და კიდევ იმას, რომ არ დაკმაყოფილდა მოთხოვნა საქალაქო საავადმყოფოში გადაყვანის თაობაზე.

– მთავრობასაც მოუწოდა ამ სასამართლომ, უზრუნველყოს მისი ჯანმრთელობა.

– რასაკვირველია. მრავალპროფილურ კლინიკაში გადაყვანა სააკაშვილს არ სჭირდება. პატიმრები სხვა კლინიკებში გადაჰყავთ სპეციფიკურ შემთხვევებში. ერთხანს ჩემს საქმეზე დავდიოდი მარდალეიშვილის კლინიკაში და იქ ვხედავდი ბადრაგს. ბადრაგი იდგა იმის გამო, რომ იქ იწვა ერთი „კანონიერი ქურდი“ პატიმარი. მას ონკოლოგიური დაავადება ჰქონდა. თვალის დაავადების დროს პატიმრები თვალის კლინიკაში გადაჰყავთ და ა. შ. არც იმის მჯერა, რომ სააკაშვილი გაილახა. იმასაც გვეუბნებიან, რომ სააკაშვილმა ვიღაცას წინააღმდეგობა გაუწია. თუ ასეა, კიდევ ერთხელ დასტურდება, რომ ის არ შიმშილობს. ვფიქრობ, რომ ვერც ერთი სახელმწიფო ვერ მოითხოვს მის გათავისუფლებას. თუ გერმანია იტყვის რამეს, კოლის პატიმრობას გავახსენებთ, თუ საფრანგეთი – სარკოზის შინაპატიმრობას. აშშ-ს მოვაგონებთ უოტერგეიტს, ნიქსონისა და იუსტიციის მინისტრ მიჩელის ისტორიას.

– 10 ნოემბერს გაიმართა სასამართლო სხდომა 7 ნოემბრის საქმეზე სააკაშვილის გარეშე. არ უნდა მიეცეს სასამართლოზე სიტყვის თქმის უფლება?

– უარს სასამართლოში მიყვანაზე თავისი ახსნა აქვს. მოსმენილი გვაქვს ჩანაწერები, სადაც სააკაშვილის მომხრეები გეგმავენ ქუჩების ჩახერგვას მისი საავადმყოფოში გადაყვანისას. იგივე სქემა იმოქმედებდა სასამართლოში გადაყვანის დროს. 10 ნოემბერს ტელეეთერში ვუსმინე ლაშა ამირეჯიბს. მან თქვა, რომ თბილისში უკრაინიდან და სხვა ქვეყნებიდან იკრიბებიან მებრძოლები, ე. წ. „ბოევიკები“. მათ აქვთ „მაიდნის“ პროცესებისა და დონბასის ბრძოლების გამოცდილება. კიევის მაიდანზე თავის დროზე მოხდა დიდი პროვოკაცია. სნაიპერებმა ხალხი დახოცეს. ამირეჯიბის ინფორმაციით, ეს „ბოევიკები“ პროვოკაციას აპირებენ: არსებობს გეგმა, რომლითაც სააკაშვილის ქალაქში ტრანსპორტირებისას მოხდება შეიარაღებული თავდასხმა.



– რა უნდა მოჰყვეს მას?

– ნებისმიერ შემთხვევაში, არეულობა მოჰყვება. სააკაშვილის ლიკვიდაციასაც არეულობა მოჰყვება და გათავისუფლებასაც. სააკაშვილი თავისი განცხადებებითაც აღიარებს, რომ დაამხობს ხელისუფლებას, თუ გამოუშვებენ. შეიარაღებული თავდასხმის შემდეგ შეიძლება პოლიციამაც გაისროლოს. ამასაც დესტაბილიზაციისთვის გამოიყენებენ. სააკაშვილს ჯანმრთელობას ვუსურვებ. იმედია, ის გაითვალისწინებს ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს მოწოდებას. ის მოიხდის მისჯილ 6 წელს და შემდეგ დაუბრუნდება თავის მილიარდებს, ვილებსა და სახლებს.

– ქვეყანაში რომ კრიზისული ვითარებაა, ამას რა ეშველება?

– კრიზისი მაშინ ნახეთ, თუ სააკაშვილი გამოუშვეს. სააკაშვილი რომ გამოუშვან, მომხრეებს კიდევ დაკარგავენ. „ოცნების“ თავგადაკლულ მხარდამჭერებს ვიცნობ. ისინი აცხადებენ, რომ თუ სააკაშვილი გამოუშვეს, „ოცნებას“ არ გაეკარებიან. პრეზიდენტი ზურაბიშვილი სააკაშვილს არ შეიწყალებს. კრიზისის მოგვარების გზა არსებობს. კრიზისის განმუხტვის ერთადერთი საშუალება სააკაშვილის უკრაინაში ექსტრადირებაა. როცა ამ ინტერვიუს ვწერთ, ბუბა კიკაბიძე უკრაინის პრეზიდენტ ზელენსკის ჯერ არ შეხვედრია. კიკაბიძე ჩასულია გარკვეული მისიით. თუ უკრაინის ხელისუფლება მას მოუსმენს და სააკაშვილის უკრაინაში გადაყვანაზე დათანხმდება, სააკაშვილი იქ გადავა და საქართველოში მშვიდობა დამყარდება. პირობით სასჯელს მოიხდის უკრაინაში თუ ადრე გამოვა, ეს არ ვიცი.

ნიკა გვარამია: „სტრასბურმა სააკაშვილის საქმე პრიორიტეტულად გამოაცხადა“

„ჩვენი მოთხოვნა დროებითი ღონისძიების მიღების შესახებ დაკმაყოფილდა“

– მივიღეთ გადაწყვეტილება სტრასბურიდან, რომ სააკაშვილის საქმე აყვანილია პრიორიტეტზე – ჩვენი მოთხოვნა დროებითი ღონისძიების მიღების შესახებ დაკმაყოფილდა.

ამის შესახებ მიხეილ სააკაშვილის ადვოკატმა ნიკა გვარამიამ 10 ნოემბერს ბრიფინგზე განაცხადა.

გვარამიას თქმით, სასამართლომ დაავალა საქართველოს ხელისუფლებას, რომ აცნობოს მიხეილ სააკაშვილის ჯანმრთელობის შესახებ ამჟამინდელი მდგომარეობა და დეტალურად მიაწოდოს ინფორმაცია ყველა იმ სამედიცინო პროცედურის შესახებ, რომელიც მასთან დაკავშირებით გლდანის №18 დაწესებულებაში გატარდა.

ადვოკატის განცხადებით, სტრასბურის სასამართლომ ასევე მათ დაავალა ყოველდღიურად განახლებული ინფორმაცია მიაწოდონ სტრასბურის სასამართლოს მიხეილ სააკაშვილის მდგომარეობასთან დაკავშირებით. აღნიშნული ინფორმაციები შეჯერდება და 24 ნოემბერს სასამართლო კვლავ იმსჯელებს საკითხზე.

როგორც გვარამიამ ბრიფინგზე აღნიშნა, სტრასბურის სასამართლომ მიხეილ სააკაშვილს შიმშილობის შეწყვეტისკენ მოუწოდა.

– მიხეილ სააკაშვილის დაცვის საერთაშორისო გუნდმა გააგზავნა მოთხოვნა დროებითი ღონისძიების შესახებ სტრასბურის ადამიანის უფლებათა სასამართლოში, რომელსაც უნდა განეხილა ეს საკითხი 24 საათში. მოთხოვნა იყო მიხეილ სააკაშვილის ჯანმრთელობის მდგომარეობის და უსაფრთხოების პრობლემებთან დაკავშირებით სახელმწიფოს დავალდებულება – 24 საათიანი ვადა მორჩა 4 საათში, ჩვენ 1 საათის წინ მივიღეთ გადაწყვეტილება სტრასბურიდან, სადაც ვკითხულობთ, რომ სააკაშვილის საქმე აყვანილია პრიორიტეტზე და მხარეებს მოგვეცა გარკვეული ვადა სარჩელის შესატანად. ჩვენი მოთხოვნა დროებითი ღონისძიების მიღების შესახებ დაკმაყოფილდა.

სასამართლო მიხეილ სააკაშვილს მოუწოდებს, რომ შეწყვიტოს შიმშილობა, თუმცა, მოწოდებით ის აღიარებს იმ ფაქტს, რომ საქართველოს მესამე პრეზიდენტი შიმშილობს.

საქართველოს ხელისუფლების მითოლოგიური განცხადებები და კლოუნადა იმასთან დაკავშირებით, რომ არ შიმშილობს, ამოწურულია. სასამართლომ დაავალა საქართველოს ხელისუფლებას, რომ მყისიერად აცნობოს ამჟამინდელი მდგომარეობა მიხეილ სააკაშვილის ჯანმრთელობის შესახებ და ასევე დეტალურად მიაწოდოს ინფორმაცია ყველა იმ სამედიცინო პროცედურის შესახებ, რომელიც გატარდა მასთან დაკავშირებით გლდანის №18 დაწესებულებაში.

ამასთან, სტრასბურის სასამართლომ დაავალა სახელმწიფოს, რომ აუცილებლად გაითვალისწინოს ის გარემოება, რომ ვალდებულია უზრუნველყოს პატიმრის უსაფრთხოება და ადეკვატური მკურნალობა ციხეში და ზოგადადაც.

ასევე შეახსენა, რომ იმ შემთხვევაში თუ სააკაშვილი შეწყვეტს შიმშილობას, სტრასბურის სასამართლომ სახელმწიფოს დაავალა, რომ მისი ადეკვატური რეაბილიტაცია, მკურნალობა და უსაფრთხოება ისევ უნდა იყოს უმაღლესი ხარისხით უზრუნველყოფილი.

ასევე დაგვევალა ჩვენ, რომ ყოველდღიურად განახლებული ინფორმაცია მივაწოდოთ სტრასბურის სასამართლოს მიხეილ სააკაშვილის მდგომარეობასთან დაკავშირებით და 24 ნოემბერს კიდევ ერთხელ ეს ინფორმაციები შეჯერდეს და კვლავ იმსჯელებს სასამართლო იმასთან დაკავშირებით, რაც ხდება.

სასამართლო ასევე ახსენებს სახელმწიფოს, რომ მის მიერ ნებისმიერი ამ განაწესის დარღვევა არის კონვენციის დარღვევა და ჩაითვლება სახელმწიფოს მიერ კონვენციის შეუსრულებლობად, – განაცხადა ნიკა გვარამიამ.

განსხვავებული პოზიცია დააფიქსირა საქართველოს იუსტიციის მინისტრმა რატი ბრეგაძემ.

– სტრასბურის სასამართლომ არ დააკმაყოფილა სააკაშვილის საჩივარი კერძო კლინიკაში გადაყვანასთან დაკავშირებით და მოსთხოვა შიმშილობის შეწყვეტა, – განაცხადა მან.

როგორც მინისტრი აცხადებს, მთავრობამ 2021 წლის 24 ნოემბრამდე ევროპულ სასამართლოს უნდა მიაწოდოს ინფორმაცია მომჩივნის ჯანმრთელობისა და უსაფრთხოების თაობაზე.

– საქართველოს მთავრობას სტრასბურის სასამართლოს 2021 წლის 10 ნოემბრის წერილით ეცნობა, რომ ამავე თარიღში მიხეილ სააკაშვილის წარმომადგენლებმა მიმართეს ადამიანის უფლებათა ევროპულ სასამართლოს შემდეგი მოთხოვნით: დაუყოვნებლივ მოხდეს მიხეილ სააკაშვილის გადაყვანა №18 სამკურნალო დაწესებულებიდან (სადაც, მომჩივანი მხარის განმარტებით, არ არის სათანადოდ დაცული მისი ჯანმრთელობა და უსაფრთხოება) მრავალპროფილიან სამოქალაქო კლინიკაში.

სტრასბურის სასამართლომ მომჩივნის ზემოაღნიშნული მოთხოვნა არ დააკმაყოფილა და სახელმწიფოსთვის სამოქალაქო კლინიკაში გადაყვანის ნაცვლად, მომჩივან მხარეს დაჟინებით მოუწოდა შიმშილობის შეწყვეტა.

საქართველოს მთავრობამ 2021 წლის 24 ნოემბრამდე ევროპულ სასამართლოს უნდა მიაწოდოს ინფორმაცია მომჩივნის ჯანმრთელობისა და უსაფრთხოების თაობაზე, – აღნიშნა რატი ბრეგაძემ.

სააკაშვილი: „შიმშილობას შევწყვეტ, ოღონდ ერთი დათქმით“

საქართველოს ყოფილი პრეზიდენტი მიხეილ სააკაშვილი მზადაა შიმშილობა შეწყვიტოს, თუმცა გარკვეულ პირობას აყენებს.

ამის შესახებ მისმა უფლებადამცველმა ნიკა გვარამიამ 11 ნოემბერს ჟურნალისტებს განუცხადა.

გვარამიას თქმით, სააკაშვილი აცხადებს, რომ ითვალისწინებს სტრასბურის სასამართლოსა და დასავლელი პარტნიორების მოწოდებას.

„მივიღე გადაწყვეტილება გავითვალისწინო სტრასბურის ადამიანის უფლებათა სასამართლოს, ასევე ჩვენი დასავლელი პარტნიორების მოწოდება და შევწყვიტო შიმშილობა. ამ შიმშილობის შეწყვეტას აქვს დათქმა, რომლის გარეშეც შიმშილობა არ შეწყდება.

შიმშილობის შემდეგ რეაბილიტაციის პროცესი ბევრად უფრო რთულია, ვიდრე შიმშილობის მართვის პროცესი, ამიტომაც გლდანის საავადმყოფოში ამის არც ტექნოლოგიური პირობებია, არც კვალიფიციური მედპერსონალი.

ამას გარდა, წარმოუდგენელია ვენდო იმ დაწესებულების თანამშრომლებს, ვინც წამების პირობებში მამყოფებს და მათი ძალადობის კადრები დღეს იხილეთ. ამას გარდა, აქ არ არსებობს უსაფრთხოების და ფსიქოლოგიური ზეწოლისგან დაცვის არანაირი გარანტია, რაც სტრასბურის სასამართლოს მოთხოვნაცაა.

ასევე, უდიდეს საფრთხედ მიმაჩნია გორის ჰოსპიტალი, რადგანაც რუსული საოკუპაციო ჯარის და სპეცდანიშნულების დანაყოფები რამდენიმე კილომეტრში იმყოფებიან ამ ჰოსპიტალიდან – იმ რუსეთის, ვინც ჩემი ლიკვიდაციის დამკვეთია.

შესაბამისად, ვითხოვ, ექიმთა კონსილიუმის მიერ მიღებულ იქნას გადაწყვეტილება, რომელ მულტიფუნქციურ და მაღალტექნოლოგიურ კლინიკებში და მკურნალობის რა მეთოდით ვიქნები უზრუნველყოფილი პოსტშიმშილობის რეაბილიტაციის პროცესის დროს.

კონსილიუმი უნდა იყოს პროფესიონალებისგან შემდგარი და პარიტეტულ საფუძველზე, ჩემი წარმომადგენლების და სახელმწიფოს მიერ დანიშნული წარმომადგენლობის თანაბარი ექიმების შემადგენლობით“ – ნათქვამია სააკაშვილის წერილში.

„პენიტენციურმა სამსახურმა სააკაშვილის პატივი და ღირსება შეურაცხყო“

ნინო ლომჯარიას განცხადება

სახალხო დამცველი საქართველოს ყოფილი პრეზიდენტის, მიხეილ სააკაშვილის შესახებ პენიტენციური სამსახურის მიერ გავრცელებულ ვიდეოსთან დაკავშირებით განცხადებას ავრცელებს.

ნინო ლომჯარიას შეფასებით, სრულიად არაპროპორციული და შეურაცხმყოფელი ფორმით, კადრების გავრცელებით, ირღვევა მისი პატივის, ღირსებისა და პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის უფლება.

ომბუდსმენი მოითხოვს, იუსტიციის მინისტრმა და სპეციალურმა პენიტენციურმა სამსახურმა პატივი სცენ პატიმართა უფლებებს და შეწყვიტონ მიხეილ სააკაშვილის პერსონალურ მონაცემთა, პატივისა და ღირსების დარღვევა.

„იუსტიციის სამინისტრომ/სპეციალურმა პენიტენციურმა სამსახურმა №18 სამედიცინო დაწესებულებაში მიხეილ სააკაშვილის მისი ნების საწინააღმდეგოდ, ძალის გამოყენებით, შესახლების ამსახველი კადრების გავრცელებით პატიმრის პატივის, ღირსებისა და პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის უფლება დაარღვია.

ხაზგასასმელია, რომ ვიდეოჩანაწერები სრულად და უწყვეტად არ ასახავს რელევანტურ ეპიზოდს, ხოლო კომპილაციაში მოხვედრილ რამდენიმე ეპიზოდში პატიმარი ნახევრად შიშველ, დამამცირებელ მდგომარეობაშია აღბეჭდილი. გარდა ამისა, ვიდეოჩანაწერების ანალიზით დადასტურდა, რომ მიხეილ სააკაშვილის №18 დაწესებულებაში გადაყვანა მოხდა მოტყუებით და მისი ნების საწინააღმდეგოდ, რასაც სახალხო დამცველი 2021 წლის 8 ნოემბერსვე აცხადებდა.

იუსტიციის მინისტრის ცნობით, ვიდეოჩანაწერების ნაკრების გავრცელება მიზნად ისახავდა ადვოკატის განცხადებების უარყოფას მიხეილ სააკაშვილის მიმართ სავარაუდო არასათანადო მოპყრობასთან დაკავშირებით.

როგორც ცნობილია, მიხეილ სააკაშვილის მიმართ სავარაუდო არასათანადო მოპყრობის ფაქტზე სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურში გამოძიება მიმდინარეობს. სახელმწიფო ინსპექტორის ცნობით, გამოძიების მიერ მოთხოვნილი ვიდეოჩანაწერები პენიტენციურ სამსახურს ამ დრომდე არ მიუწოდებია. შესაბამისად, გაურკვეველია, თუ რატომ გადაწყდა აღნიშნული ვიდეომასალის გასაჯაროება და არა მისი სრული სახით მიწოდება საგამოძიებო ორგანოსთვის.

სახალხო დამცველს მიაჩნია, რომ აბსტრაქტულ ლეგიტიმურ მიზანზე მითითებით და სრულიად არაპროპორციული და შეურაცხმყოფელი ფორმით პატიმარ მიხეილ სააკაშვილის კადრების გავრცელებით ირღვევა მისი პატივის, ღირსებისა და პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის უფლება. ადვოკატის პოზიციის გასაბათილებლად, გამოძიებისთვის აღნიშნული ვიდეომასალების სრულად მიწოდებასთან ერთად, შესაძლებელია შერჩეულიყო უფლების ნაკლებად მზღუდავი სხვა საშუალება.

სახალხო დამცველი მოითხოვს, იუსტიციის მინისტრმა და სპეციალურმა პენიტენციურმა სამსახურმა პატივი სცენ პატიმართა უფლებებს და შეწყვიტონ მიხეილ სააკაშვილის პერსონალურ მონაცემთა, პატივისა და ღირსების დარღვევა“, – აღნიშნულია განცხადებაში.

11 ნოემბერს სპეციალურმა პენიტენციურმა სამსახურმა მიხეილ სააკაშვილის გლდანის ციხის სამკურნალო დაწესებულებაში გადაყვანის კადრები გაასაჯაროვა.

კადრებში ჩანს, რომ მიხეილ სააკაშვილი უარს აცხადებს სასწრაფო დახმარების მანქანიდან გადმოსვლაზე, რის შემდეგაც ის რეანიმობილიდან იძულებით გადმოიყვანეს.

კადრების მიხედვით, მიხეილ სააკაშვილს ციხის ადმინისტრაციის თანამშრომლები ხელებსა და ფეხებში ჰკიდებენ ხელს და სასწრაფოს მანქანიდან ციხის სამკურნალო დაწესებულების პალატამდე ამ მდგომარეობაში გადაჰყავთ.

ვიდეოში ჩანს, რომ მიხეილ სააკაშვილი ტანს ზემოთ შიშველია.

ნიკა მელიას პროცესი სასამართლოში განახლდა

ნაციონალური მოძრაობის თავმჯდომარის, ნიკა მელიას, პროცესი 11 ნოემბერს სასამართლოში განახლდა.

პროცესს თავად ნიკა მელია არ ესწრებოდა.

მიზეზი მოსამართლის გადაწყვეტილებაა. ნინო ჩახნაშვილმა ოპოზიციის ლიდერი სასამართლო დარბაზიდან გააძევა და სხდომებზე ამ დრომდე არ უშვებს.

პროცესზე ბრალდების მხარის მიერ წარმოდგენილი სამი მოწმე დაიკითხა. ნიკა მელიას ადვოკატები ამბობენ, რომ ჩვენებითაც მტკიცდება, რომ ოპოზიციონერი ლიდერის ბრალეულობა არ იკვეთება და საქმე პოლიტიკურად მოტივირებულია.

– პოლიციის 3 თანამშრომელი იყო მოსული, არც ერთ მათგანს არაფერი არ უთქვამს ნიკა მელიასთან მიმართებით. იმდენად პარადოქსული სიტუაცია იყო, ერთ-ერთი დაზარალებულად არის ცნობილი და არც იცოდა, რომ დაზარალებული იყო, – განაცხადა ადვოკატმა.

შსს-ს დანაყოფები „დიდგორი 2021“-ის საშტაბო და საველე კომპონენტებში მონაწილეობენ

უწყებათაშორისი სწავლება „დიდგორი 2021“, საომარ და კრიზისულ სიტუაციაში სამთავრობო უწყებებს შორის კოორდინაციის გაღრმავებისა და ურთიერთქმედების დახვეწას ემსახურება, აქტიურ ფაზაშია. სწავლებაში შინაგან საქმეთა სამინისტროს 200-მდე წარმომადგენელი როგორც საშტაბო, ისე საველე კომპონენტებში მონაწილეობს.

სწავლების აქტიურ ფაზაში საველე კომპონენტი შინაგან საქმეთა სამინისტროს სასაზღვრო პოლიციის ავიაციისა და სტრატეგიული მილსადენების დაცვის დეპარტამენტის წარმომადგენლებმა თავდაცვის სამინისტროს სპეციალური ოპერაციების ძალებთან კოორდინაციით გაათამაშეს. ოპერაციას სწავლების იმიტირებული გენერალური შტაბი საჯარისო ცენტრში განთავსებული მართვის პუნქტიდან აკვირდებოდა.

შინაგან საქმეთა სამინისტროს კიდევ ერთი დანაყოფის – საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურის თანამშრომლებს, სწავლების ფარგლებში, საშტაბო ნაწილში, ერთ-ერთი მნიშვნელოვანი როლი აკისრიათ. სამსახურის სამოქალაქო უსაფრთხოების და სახანძრო-სამაშველო ძალების დეპარტამენტების წარმომადგენლები კრიზისების მართვის უწყებათაშორისი ოპერატიული ცენტრის ორგანიზების და მუშაობის პროცესში არიან ჩართულები. სწავლებაში სულ საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურის 10 თანამშრომელი იღებს მონაწილეობას, რომლებიც 5 დღის განმავლობაში სამხედრო ბაზაზე, თანამედროვე, ნატოს სტანდარტების შესაბამისად აღჭურვილ სივრცეში იმუშავებენ.

სწავლება წელს პრემიერ-მინისტრის განკარგულებით ტარდება, რომლის დაგეგმვისა და აღსრულების პროცესს თავდაცვის ძალები ხელმძღვანელობს. სწავლების განმავლობაში სასწავლო აუდიტორიას მოუწევს ჰიბრიდულ გამოწვევებთან, მოწინააღმდეგის საინფორმაციო ზეგავლენის ოპერაციებთან და დეზინფორმაციასთან გამკლავება. წელს სწავლებაში პირველად იქნება გამოყენებული ახალი სიმულაციური სისტემები VBS3 (ვირტუალური ბრძოლის ველი), რომელიც საშუალებას აძლევს საწვრთნელ ქვედანაყოფსა და სწავლების მაკონტროლებელ ჯგუფს, სწავლებაში მიმდინარე მოვლენები რეალურ დროში აკონტროლონ და საერთო ოპერატიულ სურათზე გამოსახონ.

პიჯაკების საქმეზე სასამართლო 15 ნოემბერს დაინიშნა

ე.წ. პიჯაკების საქმეზე სასამართლო პროცესი, რომელზეც საქართველოს ყოფილი პრეზიდენტი მიხეილ სააკაშვილია ბრალდებული, 15 ნოემბერს დაინიშნა. სხდომა თბილისის საქალაქო სასამართლოში ჩატარდება.

როგორც „ინტერპრესნიუსთან“ საუბარში სააკაშვილის ადვოკატი ბექა ბასილაია აცხადებს, ისინი აღნიშნულ საქმეზეც მოითხოვენ ყოფილი პრეზიდენტის სასამართლოში გადაყვანას.

– ჩვენ ვითხოვდით და ვითხოვთ მიხეილ სააკაშვილის პროცესებზე დასწრებას, თუმცა, 15 ნოემბრისთვის როგორი იქნება მისი ჯანმრთელობის მდგომარეობა, წინასწარ თქმა გამიჭირდება. თუკი, ჯანმრთელობის მდგომარეობა ამის შესაძლებლობას მისცემს, რა თქმა უნდა, გვინდა, რომ მიხეილ სააკაშვილი პროცესს დაესწროს, – განაცხადა ბასილაიამ.

პიჯაკების საქმეზე მიხეილ სააკაშვილთან ერთად ბრალდებულია სახელმწიფო დაცვის სპეციალური სამსახურის ყოფილი უფროსი თეიმურაზ ჯანაშიაც. პროკურატურა ბრალდებულს საბიუჯეტო თანხის დიდი ოდენობით – 9 მილიონი ლარის – ჯგუფურად გაფლანგვას ედავება.

ენტონი ბლინკენი: „ჩვენ ლუკაშენკოს რეჟიმზე ზეწოლას განვაგრძობთ“

აშშ-ის სახელმწიფო მდივანი ენტონი ბლინკენი ბელარუსს მიგრანტების იარაღად გამოყენებაში ადანაშაულებს და აცხადებს, რომ ვიდრე ბელარუსი ევროპაში უსაფრთხოებას ძირს უთხრის, აშშ ბელარუსის ხელისუფლების წინააღმდეგ ზეწოლის განხორციელებას განაგრძობს.

– ვიდრე ლუკაშენკოს რეჟიმი უარს ამბობს საერთაშორისო ვალდებულებების შესრულებაზე, სანამ ის ძირს უთხრის მშვიდობასა და უსაფრთხოებას ევროპაში თავისი ქმედებებით, სანამ ის აგრძელებს იმ ადამიანების რეპრესიებს და შეურაცხყოფას, რომლებსაც თავისუფლებაში ცხოვრება სურთ, ჩვენ გავაგრძელებთ ზეწოლას ლუკაშენკოსა და მის რეჟიმზე, – აღნიშნა ბლინკენმა.

შეგახსენებთ, პოლონეთ-ბელარუსის საზღვართან ათასობით მიგრანტია თავმოყრილი, რომლებიც პოლონეთში შესვლას ცდილობენ. ვარშავამ, საზღვრის უსაფრთხოების უზრუნველყოფის მიზნით, სასაზღვრო რეგიონში დამატებითი ძალები განათავსა. კერძოდ, პოლონეთის თავდაცვის მინისტრის, მარიუშ ბლაშაკის ინფორმაციით, მობილიზებულია 15.000-მდე ჯარისკაცი.

ევროკავშირი ბელარუსს არალეგალი მიგრანტების წახალისებაში ადანაშაულებს, რითაც, ბლოკის მტკიცებით, ალექსანდრე ლუკაშენკოს რეჟიმი ცდილობს ევროკავშირს სამაგიერო გადუხადოს იმ სანქციებისთვის, რომლებიც მინსკს ადამიანის უფლებების დარღვევისთვის დააკისრეს.

ჩეხეთში მთავრობა გადადგა

ჩეხეთის რესპუბლიკის მთავრობა, რომელსაც პოლიტიკური პარტიის „ანოს“ დამფუძნებელი ანდრეი ბაბისი ხელმძღვანელობდა, გადადგა.

ქვეყნის კონსტიტუციის თანახმად, ჩეხეთის პრეზიდენტმა მილოშ ზემანმა ახლა უნდა დაავალოს ბაბისის კაბინეტს, განაგრძოს თავისი მოვალეობების შესრულება, სანამ პრეზიდენტი ახალ კოალიციურ მთავრობას არ დანიშნავს.

„ანოს“ პარტია 8-9 ოქტომბერს დეპუტატთა პალატის არჩევნებში (ჩეხეთის პარლამენტის ქვედა პალატა) ორი ლიბერალური კოალიციის წინააღმდეგ დამარცხდა. ახლა სწორედ ამ კოალიციებში შემავალ ხუთ პარტიასა და მოძრაობებს ევალებათ ახალი მთავრობის ფორმირება.

სამოქალაქო დემოკრატიული პარტიის ლიდერი და მემარჯვენე კოალიციის ხელმძღვანელი, პეტრ ფიალა ამჟამად პრემიერ-მინისტრის პოსტზე ერთადერთი კანდიდატია.

რუმინეთში კოვიდ-კლინიკაში ხანძარს მსხვერპლი მოჰყვა

რუმინეთის ქალაქ პლოეშტის საავადმყოფოში, სადაც კოვიდინფიცირებულებს მკურნალობენ, ხანძარი გაჩნდა, რის შედეგადაც 2 პაციენტი დაიღუპა.

დაშავებულია საავადმყოფოს ექთანი, 15 პაციენტი კი სხვა საავადმყოფოებში გადაიყვანეს.

ოქტომბერში, რუმინეთის ქალაქ კონსტანცას საავადმყოფოს რეანიმაციულ განყოფილებაში ხანძარს 7 ადამიანი ემსხვერპლა. თებერვალში, დედაქალაქ ბუქარესტში ხანძარს 4 პაციენტი ემსხვერპლა.

გასული წლის ნოემბერში, პიატრა-ნიამცის საავადმყოფოს რეანიმაციაში ხანძრის შედეგად 10 ადამიანი დაიღუპა.

მოამზადა ნიკა თევზაძემ

დედა-შვილმა ერთდროულად მოხსნა ჯეკპოტი ლატარიაში

ინგლისის მერსისაიდის საგრაფოს ქალაქ ბუტლში დედამ და შვილმა ერთდროულად მოხსნეს ჯეკპოტი 30-30 ათასი ფუნტი სტერლინგი და გამდიდრდნენ. 60 წლის კეტლინ მილერმა აღიარა, რომ ლატარიის თამაში არ სურდა, მაგრამ ის მისმა 35 წლის შვილმა პოლმა დაიყოლია. ამ გამარჯვების შემდეგ ქალი იმდენად აღფრთოვანდა თამაშით, რომ გადაწყვიტა მასში მეგობრები და ნათესავებიც მიიზიდოს.

მილერი მოგებული თანხის ნაწილით დასთან აბუ-დაბიში გამგზავრებას გეგმავს. ქალის თქმით, მოხარულია, რომ გარკვეული დროის განმავლობაში ფულზე ფიქრი არ მოუწევს. პოლმა კი გადაწყვიტა საკუთარი მოგება ორ ნაწილად გაყოს. ერთს შვილისთვის საჩუქრების შესაძენად დახარჯავს, მეორეს კი სამომავლოდ გადადებს.

მორაგბე გოგონები კალენდრისთვის გაშიშვლდნენ

ბრიტანეთის კამბრიას საგრაფოს ქალაქ კარლაილის მორაგბე გოგონათა გუნდმა ფოტოსესია გამართა კალენდრისთვის. მისი გაყიდვიდან შემოსული თანხა კი კლუბის დაფინანსებას მოხმარდება, რომელიც ამგვარი სახის პრობლემების წინაშე კოვიდ-19 პანდემიის გამო აღმოჩნდა.

კლუბ „კარლაილელი პუმების“ მორაგბე გოგონები ფოტოსურათების სერიისთვის გაშიშვლდნენ.

– სიმართლე გითხრათ, წლების მანძილზე ვხუმრობდით ასეთი კალენდრის გამოშვებაზე, თუმცა არავის არასოდეს უცდია მისი განხორციელება, – აღიარა გუნდის 26 წლის ვიცე-კაპიტანმა ჰანა ფარელმა.

მისი თქმით, კოვიდ-19 პანდემიის დაწყების შემდეგ კლუბი ხანგრძლივი დროით დაიკეტა და სწორედ ამიტომ გადაწყვიტეს მისმა წევრებმა ასეთი კალენდრის იდეის რეალიზება. სიმამაცისთვის კი გოგონებმა ცოტა პროსეკო დალიეს.

ფოტოსესიის ბოლოსთვის ჩვენი ჩაცმაზე დათანხმება უკვე შეუძლებელი იყო. ჩვენ თავს უფრო ძლიერებად და საკუთარ თავში დარწმუნებულებად ვგრძნობდით, – ამტკიცებს ჰანა ფარელი.

უიშვიათესი პერლამუტისებრი ომარი შეჭმას გადაარჩინეს

უიშვიათესი ომარი პრიალა კანის ზედაპირით, რომელიც ამერიკის მენის შტატის ქალაქ პორტლენდის სანაპიროსთან დაიჭირეს, შეჭმას გადაარჩინეს.

ზღვის პერლამუტისებრი შეფერილობის არსება ბილ კოპერსმიტმა დაიჭირა. მან თავისი შვილიშვილის პატივსაცემად ცხოველს ჰედი დაარქვა.

მისი თქმით, თავისი 40-წლიანი კარიერის განმავლობაში, მას მხოლოდ ორჯერ შეხვდა უჩვეულო შეფერილობის ომარი. ჰედიმდე მას ნარინჯისფერი და თეთრი ომარები ჰყავს დაჭერილი.

კომპანია, რომლისთვისაც ომარებს იჭერს კოპერსმიტი, მისი ნადავლის გაყიდვას ან სადილად მომზადებას არ აპირებს. ამის მაგივრად ისინი შეეცდებიან შეუთანხმდნენ ადგილობრივ ორგანიზაციებსა და აკვარიუმებს, რომლებიც უჩვეულო ომარს შეიფარებენ.

მოამზადა კახა ხატიაშვილმა

შოთა არველაძეს კრასნოდარს და ჰალს უკავშირებენ

ბელარუსული და რუსული გამოცემების ინფორმაციით, რუსულ პრემიერლიგაში მოთამაშე კრასნოდარი საკადრო ცვლილებებს გეგმავს. შედეგად, კლუბის ხელმძღვანელობა მთავარი მწვრთნელის პოსტიდან ვიქტორ გონჩარენკოს გათავისუფლებას და მის შემცვლელად შოთა არველაძის მიყვანას განიხილავს. თუმცა, როგორც ჩანს, შოთა ერთადერთი კანდიდატი არ არის, რადგან იქვე დომენიკო ტედესკოსა და იგორ ჩერევჩენკოს სახელებიც არის მოხსენიებული.

კრასნოდარის ხელმძღვანელობისგან შოთა არველაძით დაინტერესება პირველი შემთხვევა არ არის, რადგან ადრეც სურდათ თანამშრომლობა, მაგრამ მაშინ საბოლოო შეთანხმებამდე საქმე არ მისულა.

რამდენიმე დღის წინ კი, შოთა ინგლისურ ფეხბურთს დაუკავშირეს. დაიწერა, რომ ქართველი სპეციალისტი ჰალის მწვრთნელობის მთავარი ფავორიტია. ამ თამამ განცხადებას ამყარებს ის ფაქტი, რომ ჰალის მფლობელი თურქი ბიზნესმენი, ალი აქუნ ილიჩალი ხდება, რომელიც შოთა არველაძის მეგობარია.

ბრიტანულ პრესა დარწმუნებით წერს, რომ მხოლოდ გარკვეული ფორმალობებია დარჩენილი, რომლის მოგვარების შემდეგაც არველაძე ინგლისურ კლუბს ჩაუდგება სათავეში.

შეგახსენებთ, რომ შოთა ბოლოს ტაშკენტის ფახთაქორს წვრთნიდა და ამ გუნდთან ერთად 2-ჯერ გახდა უზბეკეთის ჩემპიონი, 2-ჯერ მოიგო ქვეყნის თასი და ერთხელ სუპერთასი.

დიეგო სიმეონეს ფეხბურთი და ცხოვრება

ბევრისთვის კარგად ნაცნობმა მწვრთნელმა, ვისენტე დელ ბოსკემ, რომელსაც ტიტულები არც საკლუბო ფეხბურთში აკლია და არც სანაკრებოში, ჟურნალისტობა დაიწყო.

70 წლის დელ ბოსკე მადრიდში, ატლეტიკოს ბაზაზე მივიდა და ინტერვიუ აიღო ამ გუნდის მთავარ მწვრთნელ დიეგო სიმეონესგან.

სიმეონე 1970 წლის აპრილში, ბუენოს აირესში დაიბადა. ბავშვობიდანვე მუხლჩაუხრელ შრომას და პასუხისმგებლობას შეეჩვია. მშობლებს, კარლოსა და მარიას ყველანაირად ეხმარებოდა, რომლებიც, პირიქით, ხისტად ექცეოდნენ.

თუმცა, როგორც თავად ამბობს, სწორედ ეს დაეხმარა მწვერვალების დაპყრობაში. „ჩოლო“ მშობლებისადმი მადლიერების გრძნობას ვერ მალავს. რომ არა ისინი, სიმეონე შეუერთდებოდა იმ ნიჭიერი არგენტინელი ბიჭების არმიას, რომლებმაც დიდი ტალანტის მიუხედავად, ვერ ითამაშეს ის ფეხბურთი, რასაც მათგან ელოდნენ...

და კიდევ ერთი რამ, რაც სიმეონეს ძალიან დაეხმარა, ეს არის რელიგია.

დიეგო სიმეონე:

– ყოველთვის მადლობელი ვარ ღმერთის. მადლობელი ვარ იმისთვის, რაც აქვს ჩემს ოჯახს. ჩვენ ღმერთს ერთადერთ რამეს ვთხოვდით – მოეცა წარმატება იმ გზაზე, რომელიც ავირჩიეთ. მიყვარს ის საქმე, რასაც ვაკეთებ. ასევე მიყვარს სირთულეებთან შეჯახება. ფეხბურთი ჩემი ცხოვრების ანარეკლია, მისით ვსუნთქავ. მან მომცა საშუალება, ვიყო ხალხისთვის მისაღები, ბევრი ვიმოგზაურო...

მამაჩემი ფეხბურთზე გიჟდება. ახლა 77 წლისაა. ჯერ კიდევ 3-4 წლის წინ მოყვარულებში თამაშობდა, მინდორზე ძლივს გადაადგილდებოდა, მაგრამ თავისას მაინც არ იშლიდა. შემდეგ მეგობრების გაწვრთნა დაიწყო, ბოლოს კი, ჩემი უპირველესი კრიტიკოსი გახდა. ფეხბურთი ძალიან გვაახლოებს. დროის 95% ფეხბურთზე ლაპარაკში გადის.

თავად დიეგოც ოჯახში იმავე პრინციპებს ნერგავს. ჰყავს 3 ვაჟი პირველი ქორწინებიდან, 2 გოგონა კი – მეორედან. ჯანლუკა, ჯოვანი და ჯულიანო (ვაჟები) სრულიად თავისუფლები იყვნენ პროფესიის არჩევისას. მათი პროფესია კი ფეხბურთია. ჯულიანომ სულაც ატლეტიკოს მთავარ გუნდთან ერთად დაიწყო ახალი სეზონი...

– ყველას თავისი გზა აქვს ცხოვრებაში. სამივე მათგანი ძალიან კარგი ბიჭია. ვინც მათთან ერთად მუშაობს, ყველა აღნიშნავს, რომ კარგი ახალგაზრდები არიან. მათ სულ ვეუბნები, რომ ცხოვრებაში მხოლოდ ის უნდა აკეთონ, რაც სიამოვნებთ.

მშობლებს დღესაც უდიდეს პატივს ვცემ. მათ გვარებით მივმართავ ხოლმე. მამა ჩემთვის სიმეონეა. დედა ძალიან მყარი ესპანელია, გვარად გონსალესია და ასევე მივმართავ ხოლმე. მეც მშობელი ვარ და მიმაჩნია, რომ მშობლებს ყოველთვის დიდი პატივი უნდა ვცეთ. ძალიან ახლო ურთიერთობა მაქვს ჩემს დასთან, მის უსაფრთხოებაზე ზრუნვა ჩემი მოვალეობაა. რაც შეეხება ჩემს ქალიშვილებს, ისინი იმპულსს მაძლევენ მუდმივი განვითარებისათვის.

სიმეონე 51 წლისაა და ამ დროიდან 11 წელი ატლეტიკოს „შესწირა“. დიეგო არაფერს ნანობს.

– პირველი სეზონი რთული იყო, მერე კი ყველაფერი ზემოთ და ზემოთ წავიდა. ინტერესა თუ ლაციოში თამაშის შემდეგ სულ ვბრუნდებოდი ესპანეთში, სადაც ყოველთვის მესმოდა, რომ ეს არის „ჩოლო“ და ეს არის ატლეტიკო. მე ამას შევეჩვიე.

არის ხოლმე შემთხვევები, როცა შენს სიტყვებს განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებენ და ეს ჩემი და ფეხბურთელების ურთიერთობისას ზუსტად ასეა. ჩემი მთავარი მიზანია, გუნდი ყოველთვის იყოს ერთიანი. ცხადია, ატლეტიკოში მუშაობის განმავლობაში შემხვდნენ ადამიანები, რომლებიც არ იზიარებდნენ ჩემს ჩანაფიქრს და სხვანაირად ხედავდნენ ყველაფერს.

ზოგადად, ფეხბურთში წარმატების საიდუმლო მარტივია და მას ჰქვია ნდობა. თუ ადამიანი მიბრაზდება, მეც ეგრევე ვბრაზდები. რას ვიზამთ, ეს ცხოვრება ასეა მოწყობილი: ჩვენ ხშირად ვახდენთ ერთმანეთისგან ემოციების კოპირებას.

თუ მე ჩავთვლი, რომ ფეხბურთელი არ მაფასებს, მას ამას აუცილებლად ვეტყვი. მეკითხებიან, რას ვფიქრობ ფეხბურთელზე, რომელიც შეცვლის შემდეგ ბოთლს ისვრის. ეს კითხვა ჩემთან არ არის. ეს თავად ფეხბურთელს უნდა ჰკითხო. შეიძლება გაბრაზდე იმის გამო, რომ ნაადრევად შეგცვალეს და შეიძლება იმიტომ, რომ საერთოდ შეგცვალეს. ეს ორი სხვადასხვა რამეა.

ესტუდიანტესში მუშაობის დროს ერთ-ერთ ფეხბურთელთან მქონდა ასეთი შემთხვევა. მე ვერ ვენდობოდი მას. ეგაა, ახალგაზრდა ვიყავი მაშინ და გარკვეული დროის განმავლობაში დუმილს ვარჩევდი. მერე ისე მოხდა, რომ მისთვის ამის თქმამ მაინც მომიწია. მაშინ საბოლოოდ დავასკვენი – რასაც ფიქრობ ფეხბურთელზე, უნდა უთხრა რაც შეიძლება ადრე, რადგან დრო ფეხბურთშიც და ცხოვრებაშიც სწრაფად მიფრინავს.

სიმეონე სათამაშო სქემას ყოველთვის ფეხბურთელებიდან გამომდინარე არჩევს. გასულ სეზონში ატლეტიკო 3-5-2 სქემაზე გადავიდა. სწორედ ამის წყალობით გაიხსნენ ბოლომდე ისეთი მოთამაშეები, როგორებიც არიან მარიო ერმოსო, ტომა ლემარი და მარკოს ლორენტე.

– მე ყოველთვის ვუსმენ ფეხბურთელებს და ვითვალისწინებ მათ აზრს, მაგრამ ამავე დროს, მაქსიმუმს ვითხოვ ჩემი მოთამაშეებისგან და ეს მათ ძალიან კარგად იციან. რა თქმა უნდა, საბოლოო გადაწყვეტილებას მუდამ თავად ვიღებ. კი, შეიძლება ვიყო ცუდი მწვრთნელი, მაგრამ სულელი ნამდვილად არ ვარ. ბიელსა, ვისი გუნდებიც განსაკუთრებულად მოძრაობენ, ამბობს, რომ ყველაზე ამაყი იყო მაშინ, როცა ფეხბურთელი გავიდა მინდორზე და თავად მოიფიქრა, რა უნდა

გაგრძელება მე-7 გვერდზე

კობიაშვილი შალკეს სიმბოლურში მოხვდა



გერმანულმა მედიამ ქართველი ფეხბურთელი, ამჟამად საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტი ლევან კობიაშვილი გელზენკირხენის შალკეს 21-ე საუკუნის სიმბოლურ გუნდში შეიყვანა.

აი, რას წერს გერმანული ვებ გვერდი:

– დღეს მსოფლიოს ერთ-ერთი საუკეთესო მეკარე მანუელ ნოიერი, სწორედ შალკეში ჩამოყალიბდა. ცენტრალური მცველები ჰიოვედესი და ბორდონი, მარჯვნივ დაუღლელი რაფინია, მარცხნივ კი – ქართველი ლევან კობიაშვილი.

შალკეს ყოველთვის მაღალი დონის ნახევარმცველები ჰყავდა. შედეგად, თერთმეტეულს მიღმა ისეთი მოთამაშეები დარჩნენ, როგორებიც ვილმოტსი და ლინკოლნი არიან. სამაგიეროდ, არიან ესპანელი რაული, გორეცკა, ასამოა და ფარფანი.

რაც შეეხება ფორვარდებს: დანიელმა ებე სანდმა შალკეში 103 გოლი გაიტანა. აქვეა ნიდერლანდელი კლასიან ჰუნტელაარიც.

კობიაშვილი შალკეს ღირსებას 2003-10 წლებში იცავდა. 233 მატჩში 17 გოლი და 22 საგოლე პასია.

კობიაშვილი ისტორიაში ერთადერთი ქართველი ფეხბურთელია, რომელმაც ჩემპიონთა ლიგაზე ჰეთ თრიკის შესრულება შეძლო – 2005 წელს პსვ-სთან.

სოლსკიაერი ისვენებს

სანაკრებო პაუზის დროს ოლე გუნარ სოლსკიაერმა მანჩესტერ იუნაიტედის ფეხბურთელებსა და თანამშრომლებს ერთკვირიანი დასვენება გამოუცხადა, ოჯახს ხელი მოჰკიდა და ნორვეგიაში გაემგზავრა. კრიტიკის ქარცეცხლში მოქცეული მწვრთნელის ასეთმა საქციელმა კლუბში ყველა სახტად დატოვა.

ცხადია, ამ კვირის განმავლობაში, ქერინგტონის ბაზაზე ფეხბურთელების უმეტესობას სიარული მაინც არ მოუწევდა, რადგან თავიანთი ქვეყნების ეროვნულ გუნდებში არიან გამოძახებულები, მაგრამ მანჩესტერში რჩებოდა კარგა დიდი ჯგუფი, რომელთანაც მუშაობა შეიძლებოდა.

ამრიგად, იუნაიტედის საწვრთნელი ცენტრი დაიცალა. როგორც „დეილი მეილი“ წერს, ორშაბათს იქ მხოლოდ რაფაელ ვარანი და მარკუს რეშფორდი მივიდნენ. ვარანი ექიმებთან ორთავა კუნთის სამკურნალოდ გამოცხადდა, ინგლისელი კი, ნაკრებში არ გამოიძახეს და გადაწყვიტა მარტო ევარჯიშა.

რეშფორდის არგამოძახების მიზეზად ის დასახელდა, რომ მხრის ტრავმის შემდეგ იუნაიტედის შემადგენლობაში 90 წუთი ჯერ არ უთამაშია.

ნორვეგიელ მწვრთნელს კი, პაპარაცებმა მანჩესტერის აეროპორტში მეუღლე სილიესა, ვაჟებთან ნოასა და ელიასთან ერთად გადაუღეს ფოტოები. ისინი შინ, კრისტიანსუნდში მიემგზავრებოდნენ.

სავარაუდოდ, სულშერი კლუბის პოზიციამ წააქეზა. საქმე ის არის, რომ ინგლისურ მედიაში გავრცელებული ცნობების თანახმად, მას სამსახურიდან დაუყოვნებლივ მოხსნით არავინ ემუქრება. ყოველ შემთხვევაში, 20 ნოემბერს, უოტფორდთან იუნაიტედს ნამდვილად ის უხელმძღვანელებს.

თავისუფლებს ნამუსი ბერუაშვილმა მოწმინდა



საქართველოს თავისუფალი სტილით მოჭიდავეთა ნაკრებისთვის 23-წლამდელთა მსოფლიო ჩემპიონატი ერთი მედლით დასრულდა.

ჩვენი გუნდისთვის შედეგიანი მხოლოდ 74 კილოგრამ წონითი კატეგორია გამოდგა. თემურ ბერუაშვილმა ბელგრადის ხალიჩაზე ბრინჯაოს მედალი მოიპოვა.

მომავალი პრიზიორი შეჯიბრებას მერვედფინალიდან შეუდგა, სადაც წმინდად (11:0) იტალიელი იაკოპო მასოტი დაამარცხა. ასევე დიდი უპირატესობით – 13:5 მოუგო თურქ ისა დემირს, მაგრამ ნახევარფინალური შეხვედრა 0:6 დათმო რუსეთის წარმომადგენელ ჩერმან ვალიევთან.

ბერუაშვილს მე-3 ადგილისთვის ბრძოლის შანსი მიეცა, რაც მოლდოველ ვასილი დიაკონთან ბოლოს აღებული ქულის უპირატესობით (3:3) გამოიყენა კიდეც და ბრინჯაოს მედალს დაეუფლა.

შერმადინი ფორმაში შედის

თანდათან შედის ფორმაში ქართველი კალათბურთელი გიორგი შერმადინი, რომელმაც ტრავმა ახლახან მოიშუშა.

საკალათბურთო ჩემპიონთა ლიგის მე-4 ტურში შერმადინის ტენერიფემ უკრაინულ პრომეთეის საკუთარ კედლებში დაძაბულ შეხვედრაში 80:78 სძლია.

ტრადიციულად ქართველი ცენტრი სასტარტო შემადგენლობაში იმყოფებოდა და 17 წუთი ითამაშა. მისი მონაგარი 14 ქულა, 2 მოხსნა და 2 პასი იყო. შერმადინმა 8-დან 6 ორქულიანი ჩააგდო, 4-დან 2 საჯარიმო გამოიყენა.

შერმადინის გუნდი მომდევნო ლუდვიგსბურგს დაუპირისპირდება. ორივე გუნდს ჯგუფში 4-დან 3 მოგება აქვს და ლიდერობას ინაწილებს.

აქვე ისიც უნდა ვთქვათ, რომ მანამდე შერმადინს პრომეთეას რამდენიმე კალათბურთელთან კიდევ ერთხელ მოუწევს დაპირისპირება. საქართველოს ნაკრები 25 ნოემბერს შინ მსოფლიო ჩემპიონატის საკვალიფიკაციო ეტაპის პირველ ტურში უკრაინელებს დაუხვდებიან, რომლის ძირითად ბირთვს სწორედ პრომეთეას კალათბურთელები შეადგენენ.

შედეგად, შერმადინს შეუძლია ნაკრების მთავარ მწვრთნელ ილიას ზურუსს მეტოქე გუნდის კალათბურთელებზე გარკვეული ინფორმაცია მიაწოდოს. თავის მხრივ, პრომეთეას კალათბურთელებიც „გაშიფრავდნენ“ ქართველი კალათბურთელის თამაშს.

მოამზადა მიხეილ ჟორჟოლიანმა

დასაწყისი მე-6 გვერდზე

დიეგო სიმეონეს ფეხბურთი და ცხოვრება

გაეკეთებინა. მოძრაობა ფეხბურთში დღეს წარმმართველია. თუ სწორად მოძრაობ, ყოველთვის გაქვს დრო, რომ მართებული გადაწყვეტილება მიიღო.

სიმეონეს ატლეტიკოში ყველაზე რთული დროება მაშინ დაუდგა, როცა 2016 წელს ჩემპიონთა ლიგის ფინალი მადრიდის რეალთან წააგეს. ატლეტიკოს ერთი ნაბიჯი დააკლდა ტრიუმფამდე, ხოლო სიმეონე ზოგიერთმა ავტორიტეტულმა მედიასაშუალებამ მილანის ინტერის მწვრთნელად „გაუშვა“.

– ეს იყო ერთ-ერთი ურთულესი მომენტი ატლეტიკოში ჩემი მუშაობის დროს. 2016 წელს მილანში ჩემპიონთა ლიგის ფინალი 11-მეტრიანების სერიაში წავაგეთ. ამ დროს იცი, რომ უნდა წარდგე უამრავი რეპორტიორის წინაშე. ისინი უკვე გრძნობენ „სისხლის“ სუნს. მაშინ სერიოზულად დავფიქრდი, შემეძლო თუ არა მიმეცა ფეხბურთელებისთვის კიდევ რაღაც ისეთი, რაც მათ გამოადგებოდათ. ბევრმა ეს არასწორად გაიგო.

ატლეტიკო კი მწვრთნელს ენდო. თავად სიმეონე ამბობს, რომ ის და გუნდი ერთად განვითარდნენ.

– ჩვენ ერთად ძალიან ბევრი რამ გამოვიარეთ. შესაძლოა ითქვას, რომ ერთად განვვითარდით. და მაინც, ატლეტიკო დიდი გუნდია და არ შეიძლება, აქ მწვრთნელს რაიმე ჰქონდეს გარანტირებული. ატლეტიკოში როცა მუშაობ, სულ უნდა გქონდეს გათავისუფლების შიში.

როცა ესპანეთს ახსენებენ, წარმოიდგენენ ბარსელონას, მასთან ერთად – პიკეს, ჩავის, ბუსკეტსა და ინიესტას. არადა, ყველა გუნდს და ყველა მწვრთნელს არ ჰყავს ისინი. თუ ჩემი ფეხბურთელები არ ფლობენ მათნაირ მონაცემებს. მაპატიეთ, მაგრამ მე ვერ ვითამაშებ ისე, როგორც თამაშობდა ის ბარსა.

ჩემი აზრით, არ არსებობს რაღაც „მუდმივა“, რომლის მიხედვითაც მწვრთნელმა უნდა ითამაშოს. სასტიკად არ ვეთანხმები მათ, ვინც დაცვაში თამაშს აუბრალოებს. პირიქით, დაცვაში საიმედო თამაში არის ხელოვნება. თუ როგორ ითამაშებ, ეს მიდგომის და სტილის ამბავია. მაგალითად, მსოფლიოს ჩემპიონატი მოიგო ესპანეთმაც და მოიგო საფრანგეთმაც.

სიმეონეს აზრით, ტემპისა და დინამიკის მხრივ საუკეთესო ინგლისური პრემიერლიგაა. იქ ახლა სულ უფრო მეტი ტაქტიკური ნიუანსები ჩნდება და პრემიერლიგის მიმართ ინტერესს ესეც ზრდის.

– 25-26 წლის ვიყავი, როცა პირველად დავფიქრდი მწვრთნელობაზე. მე ყოველთვის ძალიან კარგი მწვრთნელები მყავდა. ჯერ იყო კარლოს ბილარდო. მე მისი მადლიერი ვარ, რადგან სხვანაირად თამაში მასწავლა. ჩემზე ასევე მოახდინეს გავლენა ბასილემ, ბიელსამ და ერიქსონმა. პირველი ჩემპიონობა ატლეტიკოში მაშინ მოვიგეთ, როცა გუნდი უფრო კონტრშეტევებზე თამაშობდა, ბოლოს კი – 3-5-2 სქემით.

დიეგო სიმეონეს ატლეტიკოსთან კონტრაქტი 2024 წლის ივლისამდე აქვს. თუ ამ ვალდებულებას ბოლომდე ჩაამთავრებს, „ჩოლო“ რეალის ყოფილი მწვრთნელის, მიგელ მუნიოსის რეკორდს დაამხობს – აქამდე არც ერთ მწვრთნელს რომელიმე ესპანურ კლუბთან 14 სეზონის განმავლობაში პაუზის გარეშე არ უმუშავია.

– იმედი მაქვს, ასეც იქნება. იქამდე რომ მივიდეთ, საჭიროა, ყოველ წამს ბოლომდე დავიხარჯოთ, ყველა ვარჯიშსა და თამაშზე. ამაზე გამუდმებით ფიქრი არ შეიძლება, რადგან უბრალოდ თავბრუ დამეხვევა. მე ვწვრთნი ატლეტიკოს და მომწონს ფორმა, რომელიც მაცვია. წაგება კი ფეხბურთის ნაწილია...

სახალხო მკურნალ ლამარა თოდუას „მადლიერების წიგნი“ ათასი მორჩენილი პაციენტის სამადლობელ წერილს ინახავს.

თოდუების საგვარეულო მეთოდით დამზადებული წამლები საუკუნეს ითვლის. როგორც ლამარა თოდუა ამბობს, ნებისმიერი დაავადების განკურნებისთვის საჭიროა ორგანიზმის გაწმენდა. ორკვირიანი პროცედურით გაგეწმინდებათ ორგანიზმი. ყველა ნაყენი მხოლოდ ეკოლოგიურად სუფთა, საგულდაგულოდ შეგროვილი მცენარეებით მზადდება.

ქალბატონი ლამარას მიერ მომზადებული მალამოები და ნიღბები კანს სრულ ელასტიკურობას უბრუნებს, ხელს უშლის კანის დანაოჭებას, სრულად არჩენს ჩირქოვან გამონაყარს, სწრაფად ახორცებს ნებისმიერი ხარისხის დამწვრობას, ყოველგვარი ნაირევისა და ლაქების გარეშე.

თოდუების ცნობილი წამლები უამრავ დაავადებას კურნავს.

ვმკურნალობ: 1. სებორეას; 2. გამაგრებას; 3. დამწვრობას; 4. ჰაიმორიტს; 5. ფრონტიტს; 6. თმის ცვენას, თუნდაც ბუდობრივს; 7. ქერტლს; 8. ტილებს მოგაშორებთ ერთი პროცედურით; 9. დისბაქტერიოზს, შეკრულობას, აშლილობას; 10. კუჭის წყლულს; 11. გულძმარვას („იჟოგას“); 12. მასტოპათიას, მკერდის გამაგრებას; 13. გამაგრებულ ნანემსარს; 14. ნაწოლებს დაჩირქებულს, თუნდაც დიაბეტიანებს; 15. მოვხსნი მეჭეჭებს; 16. განვკურნავ ჭიებისგან; 17. დავშლი კენჭებს, მოგაშორებთ მარილებს; 18. სოკოვან დაავადებებს; 19. გასქელებულ ფრჩხილებსა და დახეთქილ ქუსლებს; 20. ბუასილს.

ნანა ნადარეიშვილი: მაწუხებდა დისბაქტერიოზი, პარალელურად დამეწყო თმის ცვენა, მივმართე ქალბატონ ლამარას, ჩავიტარე მკურნალობა მისი მითითებით. ორ კვირაში მქონდა იდეალური შედეგი.

ხვიჩა გოგია: კანზე მქონდა გამონაყარი, ქალბატონი ლამარას დამზადებული სითხეებით ორგანიზმი გავიწმინდე, ვიყენებდი მისივე დამზადებულ მალამოებს, შედეგი მაქვს. დიდი მადლობა ქალბატონ ლამარას.

მზია დუნდუა: მქონდა ქალური პრობლემები, მივაკითხე ქალბატონ ლამარას და ვარ უკვე გამოჯანმრთელებული. დღესაც ვაგრძელებ მკურნალობას მისი მითითებით.

მისამართი: საბურთალო, ოთარ ჭილაძის 166. მე-10 კორპუსი. ტელ.: 599-16-10-82, 593-99-62-52

სამგლოვიარო და მისალოცი განცხადებები მიიღება ტელ.: 599-532-690 – 12-დან 17 საათამდე

ჯოსვოხდი ბ



შვეულად: 2. საქართველოში გავრცელებული წითელყურძნოვანი ვაზის ამერიკული ჯიში; 3. საწვრთნელი ორთაბრძოლა კრივში. 4. საკონცენტრაციო ბანაკი პოლონეთში, ფაშისტური ოკუპაციის დროს; 5. ქართული მონასტერი კუნძულ კვიპროსზე; 6. ფირმის, ორგანიზაციის ქონების, ფინანსური მდგომარეობის შემფასებელი ოფიციალური ექსპერტი; 8. ტბა კანადა-აშშ-ის საზღვარზე; 11. ლუდხანის ოფიციანტი გერმანიაში; 14. დაკაბადონების ოსტატი სტამბაში; 15. ბუნებრივი ნაკრძალი იმერეთში; 16. ქალის არაძვირფასი სამკაულები; 17. სათბურში გამოყვანილი მცენარის ნერგი; 19. რბილი ხაოს მქონე აბრეშუმის მკვრივი ქსოვილი; 21. ჭიდაობის ერთ-ერთი სახეობა; 22. მინერალური წყალი იმერეთში.

თარაზულად: 1. სიცოცხლის გავრცელების არე დედამიწაზე; 5. გადასახადი მიწით სარგებლობისათვის ძველად საქართველოში; 7. საბჭოთა მსუბუქი ავტომობილი; 9. ქართველი მგოსანი; 10. საქონელზე, პროდუქციაზე ფასის დაკლება უხარისხობის გამო; 12. ქალაქ დონეცკის ძველი სახელწოდება; 13. დიდი წარმატება, გამარჯვება; 16. ჩრდილო ამერიკაში გავრცელებული დიდი დათვი; 17. გამხმარი ხილი; 18. სოხუმის ძველი სახელწოდება; 20. ლითონზე ან ქვაზე შესრულებული ნახატი; 22. რამდენიმე ქვემეხის ან თოფის ერთდროული გასროლა; 23. ესპანეთის ფეხბურთელთა გუნდი; 24. ვირტუოზული პასაჟი სიმღერაში; 25. არათვითმავალი სამდინარო გემი.

შეადგინა თ.გოგინაშვილმა

წინა ნომერში გამოქვეყნებული კროსვორდების პასუხები:

კროსვორდი ა

შვეულად: 1. ედისონი; 2. ბაგრატი; 3. ტიროლი; 4. სამბა; 5. დიფუზორი; 7. ემუ; 11. ლიმანი; 15. ერუპცია; 16. ფელბსი; 17. ბარჯი; 18. მრუმე; 20. ტემზა; 22. დუდა.

თარაზულად: 6. დისნეი; 8. გახარია; 9. კომილფო; 10. სუფრული; 12. ვალსი; 13. ავაზა; 14. ვალმარტი; 19. ბიუჯეტი; 21. რაპიდი; 23. რიალი; 24. უჯრედი; 25. სილეზია; 26. ვერდილიო.

კროსვორდი ბ

შვეულად: 2. ოჯალეში; 3. ანდამატი; 4. ავსტრალია; 5. ზევსი; 6. უშგული; 8. ბარელი; 11. დუბლინი; 14. ეფრემვერდი; 15. მონოტიპი; 16. ბარისტერი; 17. ხიზანი; 19. რენუარი; 21. რიტმი; 22. სეული.

თარაზულად: 1. მოწამეთა; 5. ზებუ; 7. რაბათი; 9. ვარდობისთვე; 10. გოდერძი; 12. ალუბალი; 13. კოლხეთი; 16. ბანკროტი; 17. ხადა; 18. კრიკი; 20. კომბაინი; 22. სეიკო; 23. თურინჯი; 24. ეტიუდი; 25. მონდი.

ახალი თაობა

Akhali Taoba

გაზეთის ელექტრონული ვერსია ინტერნეტში:
http://www.opentext.ge/akhalitaoba

12 ნოემბერი

ქართული ლარის მიმართ უცხოური ვალუტების გაცვლითი კურსი

აშშ დოლარი — 3.1492

ევრო — 3.6099

დიდი ბრიტანეთის გირვანქა სტერლინგი — 4.2158

100 რუსული რუბლი — 4.4241

ამინდის პროგნოზი 12 ნოემბრისათვის

ადრიენ რაბიო შესაძლოა ნიუკასლში აღმოჩნდეს

ნიუკასლის ახალი მფლობელი გუნდში რამდენიმე ტრანსფერის განხორციელებას აპირებს და მის გეგმებში იუვენტუსის ფრანგი საყრდენი ნახევარმცველი ადრიენ რაბიოც შედის, რომელსაც იუვენტუსის დატოვება სურს.

რაბიოს მთავარი მწვრთნელი არ ენდობა და ამის გამო ის ძირითად შემადგენლობაში იშვიათად ხვდება. ფრანგმა ფეხბურთელმა ერთ-ერთ ინტერვიუში პირდაპირ თქვა, რომ მას ახალი გამოწვევები სურს.

პედრიმ ვარჯიში განაახლა

ბარსელონას ნახევარმცველმა პედრიმ ვარჯიში განაახლა და შესაძლოა ის მოედანზე უკვე 20 ნოემბერს, ესპანიოლის წინააღმდეგ დაბრუნდეს.

პედრიმ ტრავმა ოქტომბერში მიიღო და მისი არყოფნა ბარსელონასთვის საკმაოდ სერიოზული პრობლემა იყო.

ჩავი პედრიზე დიდ იმედებს ამყარებს.

პედრიმ შარშან მოახერხა ბარსელონას ძირითად შემადგენლობაში დამკვიდრება.

ის ჯერ მხოლოდ 19 წლის არის.

მოამზადა ბექა გოგინაშვილმა

„დროში მოგზაურმა“ კაცობრიობის დაღუპვა 2027 წლისთვის იწინასწარმეტყველა

ტიკ-ტოკის მომხმარებლებმა დროში თვითმარქვია მოგზაური ამხილეს, რომელიც თითქოსდა 2027 წლიდან დაბრუნდა დღევანდელ დღეს. მან კაცობრიობის დაღუპვა 2027 წელს იწინასწარმეტყველა.

ტიკ-ტოკის ესპანელი მომხმარებელი ხავიერი ცნობადი სახე უამრავი ვიდეოჩანაწერების დახმარებით გახდა, რომელთაც ის ესპანეთის ქალაქებში მოგზაურობის დროს იღებდა. ის ამტკიცებს, რომ მომავალში მოხვდა და დედამიწაზე უკანასკნელი ადამიანი აღმოჩნდა. მისი თქმით, დედამიწის სხვა მცხოვრებლები, უკლებლივ ყველა, რაღაც კატასტროფის შედეგად დაიღუპა.

ტიკ-ტოკის სხვა მომხმარებლებს მამაკაცის განცხადებებში ეჭვი შეეპარათ. ზოგიერთმა მათგანმა ივარაუდა, რომ ის უკაცრიელი ქალაქების პეიზაჟებს დროის გარკვეულ ნაწილში იღებს, როდესაც ქუჩაში არავინაა. ერთ-ერთმა ხელმომწერმა გადაწყვიტა, მამაკაცისთვის შემოწმება მოეწყო. მან თავის თხოვნას თან დაურთო ვიდეო პეიზაჟით და სთხოვა, რომ იმავე ხედის ჩანაწერი თავადაც გაეკეთებინა, მხოლოდ დღისით. ხავიერმა თხოვნა შეუსრულა. მის მიერ გამოქვეყნებულ კადრებში ქალაქის ქუჩები ისევ უკაცრიელად გამოიყურება. ტიკ-ტოკის მომხმარებლებმა ისევ დაიწყეს ვიდეოჩანაწერის ანალიზის გაკეთება და ისევ სიცრუეში შეეპარათ ეჭვი.

იუმორი

მივლინებიდან დაბრუნებული ქმარი კარზე აკაკუნებს, მაგრამ ცოლს ვერაფრით აგებინებს. ამ დროს გარეთ მოთმინებადაკარგულმა მეზობელმა გამოიხედა და ეუბნება:

– რქებით დაუბრახუნე, ბიძიკო, რქებით, იქნებ გააგებინო.

●●●

ბიჭი გოგოს ეუბნება:

– მინდა, რომ სიყვარულის ხელოვნება შეგასწავლოთ.

– და რა თანხის დაბანდებას აპირებთ ჩემს განათლებაში?

●●●

ცოლი ქმარს ეკითხება:

– ძვირფასო, ცოლქმრული ვალის გადახდას არ აპირებ?

– ღამით ვალის დაბრუნებამ სიღარიბე იცის, მიდი, დაიძინე...

●●●

გაცოფებული საწარმოს ხელმძღვანელი ერთ-ერთ ოთახში შერბის, ერთ-ერთ თანამშრომელს ხელს საყელოში სტაცებს და უყვირის:

– ჩვენ ორ შორის რომელია დებილი – შენ თუ მე!

ხელქვეითი აუღელვებლად პასუხობს:

– უფროსო, განა თქვენ, თქვენი გამოცდილებით, წინდახედულობით შეგეძლოთ სამსახურში დებილი აგეყვანათ?

●●●

ორი ნაცნობი საუბრობს. ერთი მეორეს ეკითხება:

– რას კითხულობენ ქრისტიანები იმაში დასარწმუნებლად, რომ ჭეშმარიტ გზას ადგანან?

– ბიბლიას.

– და რას კითხულობენ ათეისტები იმაში დასარწმუნებლად, რომ მორწმუნენი მართლები არ არიან?

– ბიბლიას!

●●●

ექიმი პაციენტს სინჯავს და თან უკმაყოფილოდ აქნევს თავს:

– რაღაც არ მომწონხართ...

– ოჰ, შენ ხომ მყავხარ დახატული.

მოამზადა კახა ხატიაშვილმა

გელა დაიაური დაქორწინდა

მუცოელი პოეტი გელა დაიაური დაქორწინდა. მისი რჩეული ეკა მანჩხაშვილია.

მუცოს ხეობაში დატრიალებული ტრაგედიიდან 11 წლის შემდეგ, პოეტმა ოჯახის შექმნის გადაწყვეტილება მიიღო. მისი მეუღლე მომღერალი თეონა ქუმსიაშვილი და ორი პატარა მცირენლოვანი შვილი ავტოკატასტროფაში დაიღუპნენ.

ჟურნალისტებთან საუბრისას გელა დაიაური სულ აღნიშნავს, რომ მისთვის თეოს ვერავინ შეცვლის, მაგრამ მარტო ცხოვრებამ დაღალა.

მუცოელ პოეტს გაბედნიერება ათასობით ადამიანმა მიულოცა და ულევი ბედნიერება უსურვა.

გოჩა აბულაძემ ნიკო სულხანიშვილის „დაიგვიანეს“ ჩაწერა

ოპერის მომღერალმა პირველი ალბომი გამოუშვა და მას „აბული“ უწოდა. ალბომში მომღერლის მიერ შესრულებული სხვადასხვა ჟანრის სიმღერები გაერთიანდა.

სადებიუტო ალბომში შეტანილი სიმღერებიდან ერთ-ერთზე გოჩამ ვიდეორგოლი გადაიღო. არჩევანი ოპერის მომღერალმა ნიკო სულხანიშვილის სიმღერაზე „დაიგვიანეს“ შეაჩერა, რომლის ტექსტიც აკაკი წერეთელს ეკუთვნის.

გოჩა აბულაძის კლიპზე ზაქარია ჭელიძემ და ხატია მაღლაკელიძემ იმუშავეს.

ნუცა ციმაკურიძე გათხოვდა



მომღერალი ნუცა ციმაკურიძე გათხოვდა. ცნობილი პაროდისტის ობოლა ციმაკურიძის შვილმა თავისი ცხოვრება ბრაიან ეიფს დაუკავშირა.

ნუცა წლებია ავსტრიაში ცხოვრობს და სწავლობს. მისი მუსიკალური შესაძლებლობებით აღფრთოვანებული არიან უცხოელი ლექტორები და ქართველ მომღერალს დიდ მომავალს უწინასწარმეტყველებენ.

ნუცამ და ბრაიანმა მათი ცხოვრების უმნიშვნელოვანესი ამბავი ახლობლებსა და მეგობრებს სოციალური ქსელის საშუალებით შეატყობინეს და ქორწილის ფოტოები გამოაქვეყნეს. წყვილმა უამრავი მილოცვა და დადებითი სურვილები მიიღო.

„მასტერშეფის“ სამზარეულო რატი გიორგობიანს დაატოვებინეს

კულინარიული შოუ „მასტერშეფი“ კიდევ ერთმა კონკურსანტმა დატოვა. ჟიურის წევრების თეკუნა გაჩეჩილაძის, ლუკა ნაჭყებიასა და კონსტანტინე თედელურის გადაწყვეტილებით, პროექტს მიღმა რატი გიორგობიანი აღმოჩნდა.

შეფების აზრით, დავალებას თავი ყველაზე ცუდად სწორედ რატიმ გაართვა.

„მასტერშეფის“ მე-6 სეზონის მონაწილეებს უკვე მე-4 კონკურსანტი გამოეთიშა.

პროექტის გამარჯვებულს საჩუქრად ბინა გადაეცემა.

მოამზადა ეკა ირემაშვილმა

ხანდაზმულმა ქალმა დათვის თავდასხმა მოიგერია

აშშ-ში ხანდაზმულმა ქალმა, რომელიც წარსულში ექიმად მუშაობდა, მასზე მოზრდილი შავი დათვის თავდასხმა გაიხსენა. მან მისთვის წინააღმდეგობის გაწევა და მისი გაქცევა მოახერხა.

აღნიშნული ინციდენტი კალიფორნიის შტატის ტბა ტახოზე მოხდა. ლორენ-როუზ ფონ ჰოფმან-კურცი წყალსაცავის მახლობლად მცირე სახლს ფლობს და კოვიდ-19 პანდემიის დროს გადაწყვიტა, იქ გადასულიყო თვითიზოლაციაში. ქალის თქმით, მტაცებელი მას თავს საღამოს დაესხა. ამიტომ მან ის დიდხანს ვერ შენიშნა და მისი იქ ყოფნა მხოლოდ მას შემდეგ იგრძნო, როდესაც დათვმა თათი ორჯერ ჩაარტყა.

– ვერ ვხვდებოდი თუ რა ხდებოდა, უბრალოდ, ვიგრძენი, რომ ჩემ დაგლეჯვას ცდილობდნენ, – იხსენებს ფონ ჰოფმან-კურცი. მან მოახერხა, რომ მტაცებლისთვის ოდეალა გადაეფარებინა და სახლში შევარდა. ქალმა სერიოზული დაზიანებები მიიღო თავსა და სხეულზე, მაგრამ მათი გადახვევა დამოუკიდებლად მოახერხა და სასწრაფო დახმარება გამოიძახა.

როგორც კალიფორნიის ტყის და თევზის რეწვის რესურსების დეპარტამენტის კაპიტანმა პატრიკ ფოიმ განაცხადა, მისმა კოლეგებმა მტაცებელის დნმ-ის ნიმუშების აღება მოახერხეს და ახლა მათ მიგნებას ცდილობენ. ხოლო თუ მისი სხვა ადამიანზე თავდასხმაც მოხდება, მას უეჭველად დააძინებენ.

ასტროპროგნოზი

12 ნოემბრისათვის

ვერძი – კოლეგებთან და ხელმძღვანელობასთან ურთიერთობა იღბლიანია. ორგანიზებულობა და სითამამე დღის დევიზია. **კურო** – ილუზიებს ნუ აჰყვებით. საღი აზრი შეინარჩუნეთ. შორს გამგზავრება რეკომენდებული არ არის. **ტყუპები** – ახლობლები იმედს გაგიცრუებენ. პროფესიაში უკუსვლაა მოსალოდნელი. **კირჩხიბი** – დაისვენეთ, შეიცვალეთ გარემო. ახალი საქმის დასაწყებად ენერგია გჭირდებათ. **ლომი** – იდეების რეალიზებაში კოლეგები დაგეხმარებიან. შესაძლოა, დაგასაჩუქრონ. **ქალწული** – გარისკვა დღეს სასურველ შედეგს გამოიღებს. ფინანსურ ოპერაციებში გიმართლებთ. **სასწორი** – არაჯანსაღი გარემო, საკვები და ინერტულობა ჯანმრთელობას გაგიუარესებთ. ფიზიკური დატვირთვა დღეს სავალდებულოა. **ღრიანკალი** – რომანტიკული შეხვედრა ხასიათს გამოგიკეთებთ. ეცადეთ, დღეს ნაკლები იმუშაოთ. **მუხლდოსანი** – ერიდეთ კომერციულ გარიგებებსა და საქმიან შეხვედრებს. უმჯობესია, ეს დღე ოჯახურ ატმოსფეროში გაატაროთ. **თხის რქა** – ოფიციალურობა და სიხისტე არასასურველია. იყავით გულმოწყალე და მიმნდობი. **მერწყული** – სრულყავით პროფესიონალიზმი, შეისწავლეთ ახალი საქმე. სულიერებაზეც იზრუნეთ. **თევზები** – სოლიდური ორგანიზაციები თქვენ მიმართ ინტერესს ავლენენ. ეცადეთ, საკუთარი ნიჭი და უნარი ფართოდ წარმოაჩინოთ.

გისუსურვებთ ბედნიერ დღეს!

შინაურმა კურდღელმა პატრონს დიზაინერული ნივთები გაუნადგურა



დიდი ბრიტანეთის დერბიშირის საგრაფოს ქალაქ დერბის მკვიდრი ქალის კუთვნილმა შინაურმა კურდღელმა პატრონს ორი ათას ფუნტამდე ღირებულების დიზაინერული ნივთები დაუღრღნა.

35 წლის სტიუარდესა სარა ჰოლინგმა მინის ჯიშის კურდღელი ლოპი მიიყვანა სახლში და მაღე აღმოაჩინა, რომ მის შინაურ ცხოველს ძვირფასი ნივთების დაღრღნა ყვარებია. სხვადასხვა ნივთებს შორის კურდღელმა დაღრღნა 500 ფუნტ სტერლინგად ღირებული ღუის ვუიტონის ხელჩანთა, 140 ფუნტის ღირებულების კურტ გეიგერის ბოტასები, ასევე დიზაინერ ალექსანდერ მაქქვინის 420 ფუნტად ღირებული ფეხსაცმელი. ამის შემდეგ ცხოველი მუყაოს კოლოფზე გადაერთო, რომელიც პატრონმა მას იმისთვის მისცა, რომ დიზაინერული ნივთების გაფუჭებისთვის თავი დაენებებინა.

საერთო ჯამში, კურდღელმა ორი ათას ფუნტ სტერლინგზე მეტი ღირებულების დიზაინერული ნივთები დააზიანა.

მოამზადა კახა ხატიაშვილმა

ჯვროსვოხდი ა



შვეულად: 1. ძვირფასი ლითონების მიღების მეტალურგიული პროცესი; 2. ქერის პური; 3. ცისკრის, განთიადის ღვთაება რომაულ მითოლოგიაში; 4. ავტოდრომი იტალიაში; 5. ტბა სამხრეთ საქართველოში; 7. თემურ ბაბლუანის მხატვრული ფილმი; 11. ქვის, ღორღის დამქუცმაცებელი მანქანა; 15. ოპერა „დაისის“ პერსონაჟი; 16. აეროპორტი პეკინში; 17. რაჭაში გავრცელებული თეთრყურძნოვანი ვაზის უძველესი ქართული ჯიში; 18. უსქესოდ, ვეგეტატიურად წარმოქმნილი შთამომავლობა; 20. ქვებზე, ხეებზე მზარდი უფესვო-სპოროვანი მცენარე; 22. კუნძულოვანი სახელმწიფო წყნარ ოკეანეში.

თარაზულად: 6. წმინდანად შერაცხული ქართველი არქიმანდრიტი, თეოლოგიის დოქტორი; 8. სახელმწიფო ბალტიისპირეთში; 9. უმაღლესი პოლოტაჟის ფიგურა; 10. გემრიელი საჭმელი; 12. შოკოლადის, შაქრის მწარმოებელი ამერიკული კომპანია; 13. ზღვა რუსეთ-უკრაინის სანაპიროსთან; 14. რაიონული ცენტრი სამეგრელოში; 19. ძვირფასი სარეწაო თევზი; 21. უნგრელი პოეტი; 23. პოეტური ქმნილება; 24. ოქროს მწარმოებელი ფირმა საქართველოში; 25. თეთრი ბოჭკოვანი მინერალი ცეცხლგამძლე, საიზოლაციო მასალა; 26. შტატი აშშ-ის დასავლეთში.

შეადგინა თ.კოპალეიშვილმა